ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 30 (19172) სამშაბათი, 5 თებერვალი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

ხუთწლედი: წელი მეხუთე

ახალი შრომითი წარმატებებით შევხვდეთ არჩევნებს!

გვატყობინებენ „კომუნისტისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ტონს დეპუტატები იძლევიან

„მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს — ყოველი დღე დამკვრელური!" — ასეთი ინიციატივა გამოიჩინა იანვრის დამდეგს თბილისის სახარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნოდარ კაკაბაძემ. თვის პირველ დეკადაში მან თბილისიდან ხაშურამდე წაიყვანა შემადგენლობა, რომლის წონა თითქმის სამჯერ აღემატება ნორმას, ამასთან დაზოგა 1700 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

მის მაგალითს მიბაძეს ამიერკავკასიის რკინიგზის სხვა მემანქანეებმაც, რომლებმაც ადრესატებს ზეგეგმით ჩააბარეს 15 ათასი ტონით მეტი ტვირთი, ვიდრე შარშანდელ შესაბამის პერიოდში. მომავალი არჩევნებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ტონს იძლევიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ ქორიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. გუბაზე, ადგილობრივი საბჭოების სხვა დეპუტატები.

მაგისტრალის მუშათა გადიდებული ვალდებულებების რეალიზაციისათვის ყველა პირობაა შექმნილი: სატვირთო და საქვანო სადგურებში მეღიანდებ[...] დაგეს დამატებით ლიანდაგი მიმღებ[...] და გრძელშემადგენლობიანი მატარებლებისათვის, მოძრაობის მართვა რადიოფიცირებულია და ავტომატიზებულია. გადიდებული წონის შემადგენლობებისათვის ყველგან გზა ხსნილია.

50 წლისთავისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ღირსეული შეხვედრისათვის. რკინიგზელთა მტკიცე გადაწყვეტილებაა მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს უფრო დამაჯერებელ შედეგებს მიაღწიონ.

● ●

ორი თვის დავალება — 24 თებერვლისათვის

წლევანდელი წლის დამდეგიდანვე დიდნაყოფიერად შრომობენ სოფელ მერიის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — გ. ტაკიძე) მეცხოველეები (ფერმის გამგე — რ. გოგორიძე). იანვარში მათ მიიღეს 3.000 კილოგრამით მეტი რძე შარშანდელ შე[...]

● ●

ეფექტიანად გამოვიყენოთ ტრანსპორტი

რაინიგზელები

უკეთეს შედეგებს

ალწევენ

დიახ, უკეთესს! იანვარში რკინიგზელებმა მომხმარებლებს [...] მით გათვალისწინებულზე [...] ტონით მეტი ტვირთი გაუგზ[...] შარშანდელ შესაბამის პერიო[...] შედარებით, პრაქტიკულად, [...] ლა ტექნიკურ-ეკონომიკური [...] ჩვენებელი გააუმჯობესეს. [...]

გეგმები — ვადამდე

ხალხის დიდი ნდობა

ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის დიდი შემოქმედებითი და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს როგორც მთელი ქვეყნის, ასევე საქართველოს სს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება. ეს დიდი პოლიტიკური მოვლენა იმ თვალსაზრისითაც არის განსაკუთრებული, რომ საბჭოთა ადამიანები აქტიურად ემზადებიან პარტიის XXVII ყრილობისათვის, საზეიმოდ აღნიშნავენ დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავს, სტახანოვური მოძრაობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

საარჩევნო კამპანიაში დამთავრდა რეგისტრაცია. მიმდინარეობს ამომრჩევლების შეხვედრები თავიანთ დეპუტატობის კანდიდატებთან და გაჩაღებულია მათთვის სასარგებლო აგიტაცია.

ცხადია, მთელი საარჩევნო კამპანია, მისი ეტაპები, ყველა საფეხურის საბჭოების, მათი დეპუტატების ნაშრომისა და ნამოღვაწარის, განაწესების შესრულების მასობრივი შემოწმებაა. იგი სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაღრმავების, სრულყოფის, სახელმწიფო და საზოგადოების მართვის საქმეში მშრომელთა მასების ფართო მონაწილეობის ჭეშმარიტ დადასტურებას წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც არის, რომ ახლა სამრეწველო, სასოფლო საწარმოთა, სახელმწიფო და შემოქმედებით დაწესებულებათა შრომით კოლექტივებში გამართულ ხალხმრავალ კრებებზე, შეხვედრებზე, არჩევნებთან დაკავშირებულ შეკრებებზე, საგიტაციო საუბრებში, ღრმად და საქმიანად აანალიზებენ საბჭოების ნამოღვაწარს, ყოველმხრივ განიხილავენ დეპუტატობის კანდიდატთა ცხოვრებას, მუშაობას, პრაქტიკულ საქმიანობას, ეწევიან მათთვის სასარგებლო აგიტაციას. სახავენ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ხელისუფლების ამ მასობრივი ორგანოების საქმიანობის შემდგომ წინსვლას.

ჩვენმა ხალხმა საბჭოებში თავის წარმომადგენლებად ერთხმად დაასახელა ღირსეული შვილები, გამოჩენილი, ავტორიტეტული ადამიანები, ისინი, ვინც ენერგიული შრომით ასახელებს სამშობლოს, [...]

დეპუტატობის კანდიდატები

უდაბნოს ახალგაზრდობა

ორჯერ შეხვდებით ივანე ქვლივიძის სახელს ბიულეტენებში, რომლებსაც არჩევნების დღეს მიიღებენ სოფელ უდაბნოს მცხოვრებლები. სასოფლო საბჭოს აღმასკომის ახლანდელი თავმჯდომარე დასახელეს როგორც ადგილობრივი, ისე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ეს მარტო ახალგაზრდა თავმჯდომარის პირადი ღირსებების დადასტურება კი არა, სოფლის მცხოვრებთა დამსახურების აღიარებაც გახლავთ, რომელთა შრომით ღორძინდება გარეჯის ოდესღაც უდაბური მიწები.

თვით სოფელ უდაბნოს სახელი მეტყველებს იმაზე, თუ რა ძნელი პირობები დაუხვდათ აქ ადამიანებს. ისინი მოვიდნენ, რათა გაეყვანათ არხი, გზა, აეშენებინათ სახლები. უდაბნოში აღიმართა აგურის სახლები, რომლებიც უდაბნოელებს გადაეცათ. მცხოვრებნი სახელმწიფოს მათი ღირებულების მხოლოდ ნახევარს გადაუხდიან, თანაც ოცი წლის განმავლობაში. არის უკვე მომსახურების ყველა საყოფაცხოვრებო ობიექტიც. და აი, რა არის საგულისხმო. სულ ხუთი წლის წინათ აირჩიეს უდაბნოში სასოფლო საბჭო, მან ოფიციალურად მიიღო სოფლის სტატუსი. მაგრამ აქაურ ცხოვრებას უკვე აქვს თავისი წარსული.

— სკოლა უდაბნოში დავამთავრე, — გვითხრა აქაურმა რუსიკო ღვინიანიძემ, და იქვე დასძინა: —ოღონდ ძველი, სექტემბრიდან კი ახალი, 500-ადგილიანი გვექნება.

ეს გოგონა წარმოშობით რუსთაველია. მისი ოჯახი ერთი პირველთაგანი დასახლდა უდაბნოში. დედამისი—მედეა კაპანაძე მაშინ სოფელში ერთადერთი მედიცინის მუშაკი იყო, ასრულებდა ექიმის, მედდისა და სანიტრის მოვალეობებს.

ახლა სოფელში არის ამბულატორია თანამშრომელთა შტატით, შენდება ახალი კლუბი, გაჰყავთ თბოცენტრალი. არჩევნების დღისათვის კიდევ 41 ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას. ცხოვრება სწრაფად მიდის წინ, ძველს მიჯნავს ახლისაგან. და გასული წლების სიმრავლე კი არა, მათი შინაარსიანობა, გარდაქმნების ტემპი განსაზღვრავს წარსულსა და აწმყოს უდაბნოს ბედში.

— სწრაფი ზრდა თავის პრობლემებსაც წარმოშობს, — შეეცადა ივანე ქვლივიძე ჩვენი ყურადღება ჩამოეშორებინა წმინდა გარეგნული ცვლილებებისათვის. — სოფელში ჯერჯერობით 130-მდე ოჯახია, მაგრამ ისინი რესპუბლიკის 34 რაიონიდან არიან ჩამოსული. ამიტომ ჩვენი, დეპუტატების საზრუნავი არა მარტო მატერიალურ კეთილდღეობას ეხება, არამედ სოფლის სოციალური ერთიანობის, მეგობრული და კეთილმეზობლური განწყობილებების შექმნასაც.

უდაბნოში დასახლების მსურველი ოჯახების განცხადებებს სასოფლო საბჭოს აღმასკომი განიხილავს. იყო დრო, როცა მათ ყოფდნენ პერსპექტივიან და უპერსპექტივო ოჯახებად— ითვალისწინებდნენ ოჯახში მუშაკების რიცხვს, მათს ასაკს, პროფესიულ გამოცდილებას. საწყისი ეტაპის სიძნელეები მკაცრ შერჩევას მოითხოვდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეკონომიკური გამოანგარიშებით გამართლებულ ნაბიჯს ზოგჯერ ზნეობრივი შეცდომა მოჰყვება ხოლმე, გარემოს, სადაც მხოლოდ მშობლები და მათი შვილები ცხოვრობენ, მოხუცები აკლია.

— სოფელში, როგორც ოჯახში, სამი თაობა უნდა იყოს,— არწმუნებდა თავმჯდომარე თავის კოლეგებს. — იმისათვის, რომ ახალგაზრდობა ქმნიდეს ახალ ტრადიციებს, მან ღრმად უნდა იგრძნოს ყველაფერი ის, რითაც ჩვენი მამა-პაპები ცხოვრობდნენ.

ასე გაუჩნდა სასოფლო საბჭოს, მის აღმასკომს კიდევ ერთი საზრუნავი — ვეტერანები.

უდაბნოში ივანე პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა. მაშინ მარტოხელა იყო და იგი ბავშვობის მეგობართან, თამაზ დიღმელაშვილთან — სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანთან ერთად ჩაასახლეს ბინაში. მთელი დღეები ერთად შრომობდნენ, საქმით იყვნენ გართულნი, გვიან საღამოს კი თავიანთ ორსართულიან სახლში ბრუნდებოდნენ და ისევ საქმეზე საუბრობდნენ.

დღეს თავმჯდომარის სახლი სხვა განწყობილებითა და შინაარსით ცხოვრობს. იგი დაქორწინდა. მაგრამ მისი საქმიანი ცხოვრების ჩვეულებრივი განრიგი არ შეცვლილა. ახალდაქორწინებულებმა ვერ მიატოვეს საქმეები და თაფლობის თვეც კი მინ, სოფელში მასზე ზრუნვასა და შრომაში გაატარეს.

სოფელი უდაბნო პირველად ემზადებოდა თავისი ხანმოკლე ისტორიის მანძილზე რესპუბლიკის უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ამომრჩევლებთან შეხვედრაზე უდაბნოს მშრომელებმა ბევრი კარგი და თბილი სიტყვა თქვეს თავიანთ დეპუტატობის კანდიდატზე, გზა დაულოცეს და განაწესებიც მისცეს მას. ცხადია, გზის დალოცვა და ოფიციალური დავალებები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. ყველა უდაბნოელსა და მათს დეპუტატობის კანდიდატს ხომ ერთი საზრუნავი აქვთ — სოფლის მომავალი, სოფლისა, რომლის სახელი მხოლოდ საკუთარ სახელად რჩება ადამიანების თავდადებული შრომის სამახსოვროდ.

ი. სუდაკოვა.



სურათზე: ი. ქვლივიძე.
ვ. ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

1985 24 თებერვალი საბჭოების არჩევნების დღეა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

როგორ მიმდინარეობს მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში, ქალაქებში თბილისსა და რუსთავში. კომისიის მიერ მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ არჩევ[...]

გამოკრულია ამომრჩეველთა სიები.

ფართოდ გაიშალა საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მოსახლეობაში. რეგულარულად ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები. აგიტატორები ამომრჩევლებს აცნობენ კანონს არჩევნების შესახებ, საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიულ პრინ[...]

მახარაძის რაიონის № 23 [...] სა — თ. ე. ძიძიშვილისა [...] რის რაიონის № 12 ტყვია[...] გ. ი. ჩიხლაძის ინფორმა[...] არჩევნებისათვის მზადების [...] ხებ.

კომისიამ საოლქო და [...] საარჩევნო კომისიებს [...] უფრო ფართოდ გაშალონ [...] ტაციო-პროპაგანდისტული [...]

(საქინფორმი).

მეცნიერების მიღწევები — წარმოებას

ახალი ჯიშის სიმინდი

ბ. ჩიხრაძე „ქართული-9" უხვმოსავლიანი ● დიდ ფართობზე და ვითარდა

3. კოჰაძე

აზერბაიჯანულ ენაზე

ნდობას გაამართლებს

ამომრჩეველთა შეხვედრა მ. ვ. ზიმიანინთან

4 თებერვალს ვორონეჟში გაიმართა რკინიგზის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან მიხეილ ვასილის ძე ზიმიანინთან.

საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღმავლობით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა, საწარმოო გაერთიანება „ელექტრონიკის“ პარტკომის მდივანმა ვ. მ. მეშჩერიაკოვმა ილაპარაკა მ. ვ. ზიმიანინის ცხოვრების გზასა და შრომით საქმიანობაზე, მოუწოდა ყველა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ გაერთიანება „ელექტრონიკის“ ზეინკალ-მეინსტრუმენტე ა. ე. კოლბეშკინი, №86 საშუალო სკოლის მასწავლებელი ტ. დ. ჩერევანი, სამხრეთ-აღმოსავლეთ რკინიგზის ოტროჟკის სალოკომოტივო დეპოს უფროსი ვ. ს. ტროიცკი, ენერგეტიკის ტექნიკუმის მოსწავლე ა. ვ. კანიშჩევა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ვორონეჟელები, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაამრავლონ თავიანთი წვლილი სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვითს ძლიერებაში.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მ. ვ. ზიმიანინმა, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ შეკრებილნი. არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის, მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო საბჭოთა ადამიანების დარაზმულობის ვითარებაში, თქვა მან. საბჭოთა ადამიანებს უსაზღვროდ სწამთ პარტიისა, სამართლიანად უკავშირებენ მას თავის მიღწევებსა და აღმშენებლობითს გეგმებს.

დიდი ყურადღება მიაპყრო ორატორმა იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. მან აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა ყოველმხრივ დაამუშავა განვითარებული სოციალიზმის პირობებში იდეოლოგიური მუშაობის მეცნიერული კონცეფცია. ახორციელებს რა პლენუმის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საფუძვლიანად განიხილა და მიიღო დადგენილება განათლების, მეცნიერების, კულტურის, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფართო წრის საკითხთა თაობაზე. თანამიმდევრულად ხორციელდება პარტიის დებულება შრომითს კოლექტივში, პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრის გადატანის შესახებ.

დასასრულ მ. ვ. ზიმიანინმა გულითადი მადლობა გადაუხადა კოლექტივებს, რომლებმაც დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატად, აღუთქვა ამომრჩევლებს, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა გაამართლოს მათი ნდობა.

(საკდესი).

სამშობლოს — დამკვრელური შრომა!

ამომრჩეველთა შეხვედრა ი. ვ. კაპიტონოვთან

4 თებერვალს რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ივანე ვასილის ძე კაპიტონოვთან პოდოლსკის საქალაქო საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ მათ საქმიანი განწყობილება აქვთ, ისწრაფვიან არჩევნების დღეს შეხვდნენ მიღწევებით ცხოვრების ყველა სფეროში.

შეკრებილებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა მ. ი. კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. გ. სემიონოვმა ილაპარაკა ი. ვ. კაპიტონოვის ცხოვრების გზის შესახებ და მოუწოდა ამომრჩევლებს ერთსულოვნად მისცენ ხმა ხალხის რჩეულთ.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს პარტკომის მდივანი ტ. ბ. იკონიკოვა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. ვ. ზუბკოვსკი, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორი ს. ნ. გალჩევსკი და სხვები, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა ადამიანები დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან სკკპ XXVII ყრილობისათვის, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავისათვის.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ი. ვ. კაპიტონოვმა, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ დამსწრენი. მან თქვა, რომ მომავალი არჩევნები ახალი ძალით ცხადყოფს პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას.

პარტიას, ფქვა დეპუტატობის კანდიდატმა, თავისი საქმიანობის მთავარ აზრად მიაჩნია ხალხთა კეთილდღეობისათვის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების პირობების გაფართოებისათვის ზრუნვა. უპირველესი ყურადღება ეპყრობა კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს მხარეს — საქონლითა და მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფას. ამ ამოცანის გადაწყვეტას სულ უფრო მეტად ხმარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მეცადინეობა. მას ღრმა სოციალურ-ეკონომიკური აზრი აქვს. ამას ისახავს მიზნად სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამა. საქონლის წარმოებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული კონვეიერის ყველა რგოლის საქმიანობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება ვაჭრობას.

ი. ვ. კაპიტონოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს, რომლებმაც უმაღლესი ნდობა გამოუცხადეს მას, როცა დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატად. ამ პატივს, თქვა კანდიდატმა, მე მთლიანად მივაკუთვნებ მშობლიურ ლენინურ პარტიას. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

დავალებას კონკრეტული ამოცანები განსაზღვრავს

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით მიმართული მუშაობა რესპუბლიკაში სისტემად, ტრადიციად იქცა. დაიწყო 1985 წელი. ამ საკითხებს ეძღვნება პირველადი პარტიული ორგანიზაციების სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები.

გარდაბანი. კონფერენციის თემა: პირველადი პარტიული ორგანიზაცია და არჩევით პარტიულ აქტივთან პარტიული დავალებების განაწილების პრაქტიკის სრულყოფისათვის გაწეული მუშაობა.

პლენარულ სხდომაზე მოისმინეს საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივნის ო. ბოკერიას მოხსენება.

ერთობ საინტერესოდ წარიმართა სექციური მუშაობა სამ საბაზო ორგანიზაციაში — გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში, საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში და თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში.

აღნიშნულ თემაზე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის სამუშაო ადგილად გარდაბნის რაიონი შემთხვევით არ აურჩევიათ, აქ აქვთ პარტიული დავალებების მიზნობრივად განაწილების და ამ გზით გარკვეული კონკრეტული წარმატებების მიღწევის პრაქტიკა.

რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული დავალებების განაწილებისა და შესრულების კონტროლის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რაიონის წინაშე მდგომი ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევას. ამჟამად დიდ მნიშვნელობას იძენს ის პარტიული დავალებები, რომლებიც უკავშირდება სასურსათო პროგრამის განხორციელებას, წარმოებაში მეცნიერულ სიახლეთა დანერგვას, წარმოების ინტენსიფიკაციას, დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების განვითარებას, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას და ა. შ.

პარტიული მუშაობის ერთ-ერთ ქმედითს ფორმას — პარტიულ დავალებას — აქ იყენებენ კომუნისტთა აქტიურობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებისათვის. ამ მიზნის უფრო სრულყოფილი მიღწევისათვის რაიონში შემოღებული აქვთ აქტივის სწავლება. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთწლიან სკოლაში პარტიული დავალებების განაწილების, შესრულებისა და კონტროლის საკითხებზე ეწყობა სპეციალური სემინარული მეცადინეობები.

პარტიული დავალებების შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლი ძირითადად ხორციელდება კომუნისტების ანგარიშების და ინფორმაციების მოსმენით პარტიულ კრებებზე. ეს გათვალისწინებულია სამუშაო გეგმით. ამასთან ერთად პარტორგანიზაციის მდივნებს ევალებათ კომუნისტებთან სხვადასხვა საკითხზე საუბრების დროს სისტემატურად დაინტერესდნენ, თუ როგორ ასრულებს ესა თუ ის კომუნისტი პარტიულ დავალებას.

პარტიულ დავალებათა შესრულების შეფასების ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულია საქმისადმი კომუნისტების შემოქმედებითი, ინიციატივიანი მიდგომა, მიღწეული საბოლოო კონკრეტული შედეგები.

რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიული დავალებების განაწილების კარგი გამოცდილება შეიძინეს. გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც აღრიცხვაზე იმყოფება 67 სკკპ წევრი, არჩეულია პარტიული კომიტეტი 9 წევრის შემადგენლობით. პარტიულმა კომიტეტმა თავისი წევრებისათვის ფუნქციების განაწილებისას თავი აარიდა შაბლონურ მეთოდებს. წინასწარ გაანალიზდა მეურნეობის წინაშე მდგომი საკვანძო საკითხები, რის შემდეგაც პარტიულ კომიტეტთან შეიქმნა იდეოლოგიური, კონტროლის, საწარმოო, კულტმასობრივი, დისციპლინის განმტკიცების სექციები. პარტიულმა კომიტეტმა დავალებები კომუნისტების სურვილის, ცოდნის, შესაძლებლობების გათვალისწინებით გაანაწილა. სექციების მიხედვით ყველას კონკრეტული დავალება მიეცა. სექტორის ხელმძღვანელთან ერთად ანგარიშს თითოეული კომუნისტი აბარებს, დაადასტურა, რომ პრაქტიკულად დაძლეულ იქნა პარტიულ დავალებათა განაწილების საქმეში არსებული ფორმალიზმი.

პარტორგანიზაციები პარტიულ დავალებათა განაწილების დროს კომუნისტების შესაძლებლობათა მაქსიმალურ გათვალისწინებასთან ერთად ცდილობენ ეს დავალებანი გამომდინარეობდეს ყველაზე მომწიფებული სადღეისო ამოცანებიდან.

საქმისადმი ასეთმა მიდგომამ დიდად შეუწყო ხელი პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამის შედეგიც არის ის ფაქტი, რომ თბილისისა და ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკებში, გარდაბნის და რუისბოლოს მებოსტნეობის, სართიჭალისა და თელეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე მრეწველობის ისეთ მნიშვნელოვან ობიექტებზე, როგორიც არის გარდაბნის სამონტაჟო ნაკეთობათა ქარხანა, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, სისტემატურად სრულდება სახელმწიფო გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები.

პარტიული დავალებების სწორმა განაწილებამ, მათი შესრულებისადმი ქმედითმა კონტროლმა მნიშვნელოვნად გაზარდა კომუნისტთა პირადი ინიციატივა. გაჩნდა ახალი თაოსნობები, ხოლო ნოვატორებს გამოუჩნდნენ მიმდევრები.

სამი წლის წინათ პარტიის რაიკომის ბიუროს წევრის, ლენინის ორდენოსანი მწველავის ქეთევან ქარჩაიძის ინიციატივით შეიქმნა ოთხათასიანთა კლუბი. დღეს რაიონის 15 მწველავი ამ კლუბის წევრია, ხოლო 50-ზე მეტი იბრძვის იმისათვის, რომ წელს თითოეულ ძროხაზე 4.000 ლიტრი რძე მოწველოს.

პარტიული ორგანიზაციები გვევლინებიან ყველა სასარგებლო თაოსნობის ფართოდ გავრცელების ინიციატორებად, აქტიურად რაზმავენ კომუნისტებს, მშრომელებს შინაგანი რეზერვების ძიებისა და ამოქმედებისათვის. მაგალითად, მარტყოფის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ სამი წლის წინათ განიხილა და მოიწონა კომუნისტების თაოსნობა მებოსტნეობაში უგანრიგო რგოლებისა და ბრიგადების შექმნისათვის. ეს თაოსნობა ფართოდ გავრცელდა რაიონის სხვა მეურნეობებში და ამჟამად 60-ზე მეტი უგანრიგო ბრიგადა მუშაობს.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, რაიონის კომუნისტთა 39 პროცენტისათვის მიცემული პარტიული დავალება უშუალოდ არის დაკავშირებული რაიონის სასურსათო პროგრამის განხორციელებასთან, 19 პროცენტი — მეცნიერებისა და ტექნიკის დანერგვასთან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ რაიონის წინაშე დასახული ძირითადი ამოცანების განხორციელებისათვის.

საუკეთესო საბოლოო შედეგებისათვის ძალების კონცენტრაციის მიზნით საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომთან შექმნილია 12 კომისია და 4 სამუშაო ჯგუფი, რომლებიც თავიანთ საქმიანობას წარმართავენ წარმოების რეზერვების გამოვლენის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ტრანსპორტის რიტმული მუშაობის, ნედლეულის ყაირათიანი ხარჯვის, შრომითი რესურსების გეგმაზომიერი განაწილების, მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლების, სასურსათო პროგრამის განხორციელების, მეცნიერების მიღწევების დანერგვის; კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების, შრომელთა იდეოლოგიური აღზრდის დარგში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

რაიონში ერთ-ერთ მასობრივ პარტიულ დავალებად იქცა დამრიგებლობა. პარტიული ორგანიზაციების დავალებით 730-მდე კომუნისტი ახალგაზრდობის დამრიგებელი გახდა. ისინი თავიანთ მდიდარ გამოცდილებას მომავალ თაობას უზიარებენ.

ახლა კი კონფერენციის ზოგიერთ მონაწილეს მოვუსმინოთ.

ნ. ხუხუა — ქ. ქუთაისის ავეჯის კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი: განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ მიცემული დავალებების შესრულების კონტროლს. ამისათვის ვიყენებთ სხვადასხვა ფორმას — ინფორმაციების, ანგარიშის მოსმენას, საკითხების შესწავლას კომბინატის ძირეული რგოლების კრებებსა და ბიუროს სხდომებზე განსახილველად. ყოველკვირეულ თათბირებზე ვისმენთ ძირეული რგოლის ხელმძღვანელთა ინფორმაციებს კომუნისტებთან მუშაობის თაობაზე.

არჩევითი პარტიული აქტივისათვის შევადგინეთ სამახსოვროები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია მუშაობისათვის საჭირო ძირითადი მიმართულებანი.

ა. საყვარელაშვილი — სართიჭალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის პარტიული კომიტეტის მდივანი: მინდა გაგიზიაროთ ახალგაზრდა კომუნისტებისათვის პარტიული დავალების მიცემის ჩვენეული გამოცდილება. დანერგილი გვაქვს ასეთი პრაქტიკა: ახალგაზრდა კომუნისტებს დავამუშავებინებთ თემებს, რეფერატებს, ვესაუბრებით, რათა ისინი უფრო ღრმად გაერკვნენ თანამედროვე ვითარებაში, სრულყოფილად შეისწავლონ სკკპ XXVI ყრილობისა და პარტიის ბოლოდროინდელი პლენუმების მასალები და გადაწყვეტილებები. ხოლო ამის შემდეგ მათი ცოდნისა და პროფესიის მიხედვით ვაძლევთ პარტიულ დავალებას.

ა. ფიფია — წალენჯიხის რაიონის ტყემრეწმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი: პარტიული ორგანიზაციის მრავალმხრივ საქმიანობას პარტიულ დავალებათა მრავალფეროვნება განსაზღვრავს. დღეისათვის დიდ ყურადღებას ვუთმობთ კომუნისტებს შორის საწარმოო პარტიული დავალებების განაწილებას, რომელიც დაკავშირებულია შრომის დისციპლინის განმტკიცებასთან, შრომის ორგანიზაციის გაძლიერებასთან, პროგრესული მეთოდების დანერგვასა და სოციალისტური შეჯიბრების სრულყოფასთან.

შარშან იმ უბნებში, სადაც ვერ შესრულდა საწარმოო გეგმები, შევცვალეთ ხელმძღვანელები და იქ პარტიული დავალებით გავგზავნეთ გამოცდილი, ორგანიზატორული უნარის მქონე ავტორიტეტიანი კომუნისტები, რამაც კარგი შედეგი მოგვცა. ადგილებზე მდგომარეობა გამოსწორდა და დღეისათვის წინათ ჩამორჩენილი უბნები წარმატებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს.

• • •

კონფერენციამ შეიმუშავა წინადადებანი პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის, მუშაობაში ახალი სრულყოფილი ფორმებისა და მეთოდების დანერგვის, კომუნისტთა შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების, მათი ავანგარდული როლისა და პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებისათვის.

თითოეულ საკითხზე კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების რესპუბლიკურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე



1985 წელი ახალი შრომითი ენთუზიაზმით დაიწყო „საქქიმფარმპრეპარატის“ საწარმოო-აგრარული გაერთიანების კოლექტივმა. აქ აითვისეს ახალი სამკურნალო წამლები, როგორიც გახლავთ „სიბაზონი“, „ხენა“ და სხვ.

• •

სურათებზე: საწარმოო-აგრარული გაერთიანება „საქქიმფარმპრეპარატის“ ბიოლოგი მანანა ბეჟორიშვილი ზვიგენის ღვიძლის ექსტრაქტის აქტივობის შესწავლისას; საწარმოს მიერ გამოშვებული მედიკამენტები.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ახალი მიჯნები

საქართველოს ბევრი რაიონის მეურნეობებს ამიერიდან აღარ მოუწევთ ძალებისა და საშუალებების მოცდენა კომბინირებული საკვების გადასაზიდად. ადგილებზე მისი ცენტრალიზებული მიწოდება მოაგვარეს რესპუბლიკის დამზადების სამინისტროს საწარმოებმა წითელწყაროში, კაჯრეთში, აბაშაში, ზოგიერთ სხვა პუნქტში. მუშაობის ეს ახალი ფორმა, რომელიც სამინისტრომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან თანამეგობრობით დანერგა, მიმდინარე წლიდან მთელ რესპუბლიკაში გავრცელდება.

ბევრი სხვა სიახლე დანერგეს შარშან დამზადების სამინისტროს კოლექტივებმა.

განვლილი სამეურნეო წლის შედეგების ანალიზისას პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს გადასაჭრელ პრობლემებზე, რეზერვებზე. მათგან უმნიშვნელოვანესია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, დისციპლინის განმტკიცება, შრომის ორგანიზაციის სრულყოფა. რესპუბლიკის დამზადების მინისტრის შ. ჭანუყვაძის მოხსენებაში, გამოსვლებში მოიყვანეს უყაირათობის მაგალითები, რომელიც გამოვლინდა ახალციხის, ახალქალაქის, ქარელის, ხობის საწარმოებში. განსაკუთრებით სერიოზული ნაკლოვანებანი აღმოჩნდა ცხინვალში. ადგილობრივ საწარმოში უხეშად ირღვეოდა კომბინირებული საკვების დამზადების ტექნოლოგია. აქ პასუხსაგები თანამდებობები ეკავათ არაკომპეტენტურ, წინათ ნასამართლევ ადამიანებს.

კრებამ პრინციპულად შეაფასა ამგვარი ფაქტები, რომლებიც მთელ რიგ სხვა საწარმოებშიც გამოვლინდა.

ბევრი საყვედური ითქვა ხილბოსტნეულის პროდუქციისა და კარტოფილის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მისამართით, დარგობრივი ინსპექციებისა და რაიონების სახელმწიფო ინსპექტორების მიმართ.

კრების მონაწილეებმა დასახეს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, სამინისტროს ყველა ქვეგანაყოფის მუშაობის გაუმჯობესების გზები და მიიღეს დარგის მშრომელთა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი 1985 წლისათვის.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი.

(საქინფორმი).

ოჯახის სიწმინდეზე ფიქრით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 20 აპრილის დადგენილებამ „ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“ საფუძველი დაუდო ექსპერიმენტს, რომელიც დღეს უკვე გამოცდილების ძალას იძენს.

ასეთი ღონისძიებების პირველსავე კეთილშობილურ ნაბიჯს მრავალი ინიციატივა მოჰყვა ზესტაფონის რაიონში. დადგენილების პრაქტიკული განხორციელების პერიოდში მშობლებთან შეხვედრებმა, რაიკომის ბიუროს და პარტიული ორგანიზაციის კრებებზე განხილულმა ოჯახებმა, კომუნისტების ანგარიშებმა, რაიონის ოჯახების პასპორტიზაციამ ნათლად გამოკვეთა, თუ რა გზით იყო შესაძლებელი ოჯახებსა და მშობლებზე პარტიული გავლენის გაძლიერება.

რაიონის თითოეული პირველადი პარტიული ორგანიზაციისათვის, თითოეული კომუნისტისათვის სამოქმედო პროგრამად იქცა ამხანაგ ე. შევარდნაძის სიტყვები: „დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა არ იფარგლებოდეს მხოლოდ შრომითი კოლექტივის სფეროთი, არამედ სულ უფრო აქტიურად მოიცავდეს თავისი გავლენით კომუნისტის ოჯახსაც, თითოეული მშრომელის ოჯახს“.

ექსპერიმენტის პერიოდში სწორედ ამიტომ შეერწყა ერთმანეთს ოჯახებზე, ადამიანებზე კონკრეტული ზრუნვა და რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლა.

აღნიშნული პრობლემების განხილვას მიეძღვნა პარტიის რაიკომისა და კომკავშირის რაიკომის პლენუმები, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია.

ექსპერიმენტის ამ ეტაპზე გამოიკვეთა საერთო ტენდენცია,— ოჯახის, სასწავლებლისა და შრომითი კოლექტივის დაახლოების, პიროვნების აღზრდის კომპლექსში თითოეული მათგანის როლის განმტკიცების კონკრეტული შედეგი.

მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება, მათი პედაგოგიზაცია, ოჯახის, სკოლისა და საწარმოს კონტაქტების განმტკიცება, აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა, მაღალზნეობრივი ოჯახებისა და პიროვნებების პროპაგანდა, უარყოფითი მომენტების წინააღმდეგ ბრძოლა დადებითის განზოგადების პოზიციებიდან, მორალური და მატერიალური სტიმულირების ფორმების მიზნობრივი გამოყენება, ახალი ადამიანის აღზრდაში საბჭოური რიტუალებისა და ტრადიციების ეფექტიანობის ამაღლება, — აი არასრული ნუსხა იმ საკითხებისა, რომელიც აისახა ამას წინათ **ზესტაფონში გამართული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნების რესპუბლიკურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე.**

კონფერენციის პირველ პლენარულ სხდომაზე მოხსენება „პირველადი პარტიული ორგანიზაცია და ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერება“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. გუმბარიძემ.

სადისკუსიო კლუბების მსმენელები ფეროშენადნობთა ქარხნის, არგვეთის საბჭოთა მეურნეობის, სპეციალიზებული სამონტაჟო-სამშენებლო სამმართველოს, ქარხანა „საქკაბელის“ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ცალკეული პროგრამის მიხედვით ეცნობოდნენ აღზრდის აქტუალურ პრობლემებს, ექსპერიმენტის შედეგებს.

სადისკუსიო კლუბების მუშაობას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივნები გ. ძაბირაძე, ნ. სალაძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. გვილესიანი, პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე თ. შერგელაშვილი.

კონფერენციის მეორე პლენარულ სხდომაზე მოხსენების ირგვლივ და სადისკუსიო კლუბების მუშაობის შთაბეჭდილებებზე ილაპარაკეს მარნეულის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ი. ბუცხრიკიძემ, ზუგდიდის ლუდისა და ხილის წყლების კომბინატის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა თ. ანთიამ, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ პარტიული კომიტეტის მდივანმა ი. მაჟავარიანმა, თბილისის ლენინის რაიონის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ნ. ნადიბაიძემ, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის დირექტორმა შ. ამონაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორმა. რ. რუსიძემ და სხვებმა.

კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

შ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

ტექნიკური განახლების გზით

გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანება რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი დიდი საწარმოა. ამიტომაც, ცხადია, მის წინაშე დასახული ამოცანებიც ფრიად სერიოზული და მასშტაბურია. მაგრამ აქაურმა მშრომელებმა წლების განმავლობაში ვერ შეძლეს სრულად გამოევლინებინათ ახალი რეზერვები და საშუალებები, დაენერგათ მუშაობის ისეთი ფორმები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფდა მათს ეფექტიან მუშაობას და შესაძლებელს გახდიდა სახელმწიფო გეგმა-ვალდებულებების შესრულებას ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით.

შარშან გაერთიანების კოლექტივმა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შეასრულა 100,5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების გეგმა — 102,4 პროცენტით, ნართის წარმოებისა — 102 პროცენტით, მზა ქსოვილის დამზადებისა — 106,4 პროცენტით, მაგრამ ხამი ქსოვილის წარმოების გეგმა ვერ შეასრულა გაერთიანებაში შემავალმა ვერც ერთმა საქსოვმა ფაბრიკამ და ფილიალმა, რის გამოც დაირღვა წარმოების რიტმული მუშაობა, შენელდა წარმოების საერთო მოცულობის ზრდის ტემპი და პროდუქციის გამოშვების 1984 წლის დავალება მხოლოდ 98 პროცენტით განხორციელდა.

გარდა ამისა, შარშან 1983 წელთან შედარებით, ნართის გამოშვება შემცირდა 6,9 პროცენტით, ხამი ქსოვილისა — 6,2 პროცენტით, რეალიზაციის მოცულობისა კი 5,7 პროცენტით და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მუშაკებთან ამას წინათ გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, გაერთიანებაში საწარმოო სიმძლავრეებს ნელა ითვისებენ. შარშან, მაგალითად, სართავი მანქანების საწარმოო სიმძლავრეების ათვისებამ 56,6 პროცენტი, ხოლო საქსოვი მანქანა-დანადგარებისამ — 52,8 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მუშათა დენადობამ 1984 წელს 16,2 პროცენტს მიაღწია, მიიღეს 1129, ხოლო გაათავისუფლეს 1054 კაცი. უმიზეზო გაცდენებმა საშუალოდ ერთ კაცზე 17 დღე შეადგინა.

რამდენიმე თვეა გაერთიანების გენერალურ დირექტორად დანიშნეს გამოცდილი, მცოდნე სპეციალისტი მერაბ ნიჟარაძე. იგი გვესაუბრა იმ მიზეზებზე, რომლებმაც გაერთიანებაში ასეთი არასახარბიელო მდგომარეობა შექმნეს, და იმ ღონისძიებებზე, რომელთა უთუო განხორციელება აქაურ მშრომელებს მოწინავეთა რიგებში ჩააყენებს.

— 1985 წელი, — გვითხრა მან, — გაერთიანების კოლექტივისათვის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა და ახალი მიჯნების დაძლევის წელი უნდა გახდეს. ეს წელი ხომ მთლიანად მიეძღვნება სკკპ XXVII ყრილობისათვის აქტიურ მზადებასა და ჩვენი ხალხის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავის ზეიმობას. წლეულს უნდა გადავწყვიტოთ ის ამოცანები, რომლებიც სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით წინა წლებში გაუხორციელებელი დარჩა. შარშანდელი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ყოველმხრივმა გაანალიზებამ ნათლად დაგვანახა ჩვენს სამეურნეო მუშაობაში არსებული შეფერხებები, წინა პლანზე წამოსწია ის პრობლემები, რომლებიც სერიოზულ დაფიქრებას, განსჯასა და გადაწყვეტას მოითხოვს. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ მოგვიწოდა, გაერთიანებამ უთუოდ უნდა მიაღწიოს მიმდინარე ხუთწლედისათვის დასახულ მიჯნებს.

დავალება გარკვეულია, გვაქვს მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაც და იგი საკმაოდ სერიოზულია. მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ჩვენ 1984 წლის გეგმასთან შედარებით უნდა გამოვუშვათ 17 პროცენტით მეტი პროდუქცია. ეს კი ნიშნავს, რომ უნდა გავზარდოთ ნართის გამოშვება 19 პროცენტით, ხამი ქსოვილისა — 6,5 პროცენტით, მზა ქსოვილისა — 6,1 პროცენტით. და ეს მაშინ, როდესაც საკავშირო დარგობრივ მაჩვენებელს სიმძლავრეების ათვისებაში საგრძნობლად ჩამოვრჩებით. როგორც ხედავთ, ბევრი პრობლემა უნდა გადაიჭრას, მათ შორის გახლავთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება.

შარშან ჩვენს კოლექტივს დიდი დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა ძირითადი ნედლეულისა და, კერძოდ, ბამბის ბოჭკოს ნაკლებობის გამო. ნაზავში ხელოვნური ბოჭკოს — შტაპელური ვისკოზის შერევამ სართავი მანქანების მწარმოებლობა 12-15 პროცენტით შეამცირა. ამ ხარვეზის შევსება სხვა რეზერვებით, სხვა გზით უნდა მომხდარიყო. ერთ-ერთი ასეთი გზა ტექნიკური განახლება გახლავთ და გაერთიანებაში ამ მიმართულებით არცთუ მცირე სამუშაოები შესრულდა. № 1 სართავი ფაბრიკის განახლებამ წარმატებული მუშაობის საუკეთესო პირობები შექმნა. წლეულს გაზაფხულზე ცენტრალური სამაცივრო-საკომპრესორო სადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემით № 1 საქსოვ საამქროში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ვენტილაცია. პროდუქციის წარმოების ზრდას ხელს შეუწყობს აგრეთვე № 2 საქსოვ ფაბრიკაში დიდმწარმოებლური პნევმორაპირული დანადგარების დამონტაჟება, ხოლო № 2 სართავ ფაბრიკაში პნევმომექანიკური სართავი მანქანების დადგმა. ტექნიკური განახლება გათვალისწინებულია გამომყვან ფაბრიკაშიც. ამ სამუშაოთა მოცულობა საკმაოდ დიდია, მაგრამ ისინი დროულად შესრულდება. ამით ფაბრიკებში შეიქმნება ნორმალური სამუშაო პირობები.

გაერთიანების ჩამორჩენის მიზეზი კადრების, ძირითადი სპეციალისტების ნაკლებობაც გახლავთ. არ გვყოფნის მრთველები, მქსოველები, ქარგლები, განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშები. გაერთიანებაში სულ 4630 კაცი მუშაობს და კომკავშირული ასაკისა აქედან მხოლოდ 1700-ია. ეს კი მთელი კოლექტივის 36 პროცენტია. არც ახალგაზრდა სპეციალისტთა რაოდენობაა საკმარისი. გაერთიანებას, მის მომავალს ახალგაზრდა მუშა სჭირდება, კვლავ უნდა გაგრძელდეს გორელ ფეიქართა ტრადიციები, იქმნებოდეს მუშათა დინასტიები. თაობათა ცვლის კრიზისულ პერიოდში მათზე დაყრდნობით საქმიანობა უფრო ეფექტიანი გახდებოდა.

დღეს საწარმოს სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს სწორედ ეს გვაქვს საზრუნავი. იმედია, ახალგაზრდობა შემობრუნდება ჩვენკენ. მაინც რას ვპირდებით ახალგაზრდობას?

ვიწყებთ ექსპერიმენტს: საქსოვ ფაბრიკებსა და № 2 სართავი ფაბრიკის პნევმომექანიკური დართვის უბანზე ვნერგავთ ახალგაზრდა მუშებისა და ქარგლების მატერიალური დაინტერესების ახალ ფორმებს: ახალბედა ქარგლებს გაერთიანების წახალისების ფონდიდან ხუთი წლის დამოუკიდებელი კეთილსინდისიერი მუშაობის შემდეგ დამატებით მივცემთ ერთი წლის მთლიან ხელფასს. ამასთან, ცალკე ვიყვანთ ბინის ურიგოდ მიღების აღრიცხვაზე. გარდა ამისა, ახალგაზრდა ვაჟებს სამხედრო სამსახურში გაწვევის შემდეგ 2 წლის განმავლობაში შევუნარჩუნებთ საშუალო ხელფასს. № 1 საქსოვი ფაბრიკის ახალგაზრდა ქარგლებს საწარმოში კეთილსინდისიერი მუშაობის სამი წლის შემდეგ ურიგოდ მიეცემათ ბინები, მანქანები. გაერთიანებაში დავაწესეთ პრემიული დანამატის ზედმეტი დანამატი პრემია, ესე იგი კარგი გარჯისათვის მუშას შეიძლება მიეცეს თითქმის ორმაგი ხელფასი. მუშის ძირითადი ხელფასი კი ჩვენთან 250-350 მანეთია, ხოლო ქარგლისა — 240-600 მანეთამდე. ვფიქრობთ, ახალგაზრდები სწორად გაგვიგებენ და მხარს დაგვიჭერენ, აქ აღარ იქნება დენადობა, აღარ გვეყოლება „ფრენიები“, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობად საჭირო ექვსი თვის სამუშაო სტაჟის შესრულების შემდეგ დაუნანებლად ტოვებენ მშობლიურ კოლექტივს. დიდი ხანია დადგა კოლექტივის გაახალგაზრდავების დრო. ძირითადი მუშების საშუალო ასაკი — 42 წელი საგანგაშო ციფრია და ამაზე სერიოზული დაფიქრება გვმართებს ყველას. ახალგაზრდობის მოზიდვას, გაერთიანების სრულყოფილ დაკომპლექტებას დიდად შეუწყობს ხელს საკუთარი ავტობაზის შექმნა. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის ამხ. თ. დავითაშვილის უშუალო დახმარებითა და ხელშეწყობით, რომლის დიდად მადლიერი ვართ, გაერთიანებამ წლეულს გადმოეცემა 6 ავტობუსი, ეს შესაძლებელს გახდის ქალაქის ახლომახლო სოფლებიდან სამუშაოზე გადმოვიყვანოთ დაუსაქმებელი ახალგაზრდობა და ცვლის დამთავრების შემდეგ კი ისევ ოჯახში მივიყვანოთ. გარდა ამისა, გაერთიანებას დიდ დახმარებას უწევს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, კერძოდ ამხ. მ. ქაჯაია, რომელსაც უყურადღებოდ არ დაუტოვებია ჩვენი არც ერთი თხოვნა: გამოგვიყო მსუბუქი ავტომანქანები, შექმნა დამატებითი ფონდები სამრეწველო და სასურსათო პროდუქციის მოსაწოდებლად. მივიღეთ დანადგარებს, რომლებიც ახალგაზრდული ცენტრის მოსაწყობად დაგვჭირდება. მინდა გითხრათ, რომ ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც გაერთიანებაში იქმნება, ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მთელ რესპუბლიკაში.

გაერთიანების ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბინათმშენებლობის საკითხების მოგვარებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რვა წლის განმავლობაში ქ. გორში არ აშენებულა არც ერთი ისეთი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ერთოთახიანი ბინებიც ყოფილიყო. საკმარისი რაოდენობით არა გვაქვს საერთო საცხოვრებელი ბინები. გადაწყვეტილი გვაქვს გაერთიანების მშრომელებისათვის ავაშენოთ სასტუმრო ტიპის საერთო საცხოვრებელი. გორის მიმდებარე ტერიტორიაზე ტინის ხიდში გაშენდება ფეიქართა დასახლება, აქ აიგება ახალი ტიპობრივი საცხოვრებელი სახლები ერთ, ორ და სამოთახიანი ბინებით.

გაერთიანების ბაზაზე მოქმედებს სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი, ოთხი საბავშვო ბაღი, ერთის განახლება-რეკონსტრუქცია ახლახან დამთავრდა და მალე მშვენიერ კეთილმოწყობილ საბავშვო ბაღში ახალმოსახლეობას იზეიმებენ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ გაერთიანების ბაზაზე კულტურის სახლის მშენებლობა თერთმეტი წელია ჭიანურდება და, თუ ასე გაგრძელდა მუშაობა, იგი შეიძლება წლეულსაც არ დამთავრდეს. იმედი გვაქვს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო სათანადო ყურადღებას მიაქცევს ამას.

ვფიქრობთ, გორის ბამბეულის კომბინატისათვის 1985 წელი იქნება დიდი გარდატეხის წელი.

ლ. ქინქლაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებს

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სარედაქციო რეპლიკაში „ანდაზა გვეკითხება: ნუთუ ქურდს ბნელი ღამე აღარ სჭირდება?!“ აღნიშნული იყო შარშან 3 ოქტომბერს დილით რუსთავში მცხოვრები რამდენიმე ოჯახის გაქურდვის ფაქტი. ამის თაობაზე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ამხ. გ. გვეტაძე რედაქციას სწერს:

წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა. დანაშაულის გახსნის მიზნით ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილებაში შეიქმნა ოპერატიული საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც პრაქტიკულ დახმარებას უწევდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველო.

მიზნობრივი ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დაადგინეს და დააკავეს ქ. რუსთავის მცხოვრები ვლადიმერ ვლადიმერის ძე ავდეევი, დაბადებული 1955 წელს, უპარტიო, საშუალო განათლებით, ნასამართლევი, შემდეგ უმუშევრად მუშაობდა ქ. რუსთავის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში.

ვ. ავდეევის ბინაში ამოღებულ იქნა ოქროს სამკაულები და სხვადასხვა სახის საოჯახო ნივთები. გარდა ამისა ქ. რუსთავის რკინიგზის სადგურის მახლობლად მდებარე ხევში მოწყობილ სპეციალურ სამალავში აღმოაჩინეს ნაქურდალი ნივთების ნაწილი.

წინასწარი გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთები და ოქროს სამკაულები მოიპარავთ რესპუბლიკაში აღნიშნული რუსთაველი მოქალაქეებისა და სომხეთის სსრ ქ. აბოვიანში მცხოვრები მოქალაქეების ბინებიდან. ვ. ავდეევმა აღიარა ჩადენილი დანაშაული, ამოღებული ნივთები კი ამოიცნეს დაზარალებულმა მოქალაქეებმა.

აღნიშნული საქმის ირგვლივ საგამოძიებო ღონისძიებანი გრძელდება სომხეთის სსრ ქ. აბოვიანის შინაგან საქმეთა განყოფილებასთან ერთად.

იურიდიული ცოდნა მასებს!

მოქალაქეთა საბინაო უფლებების განმტკიცებასა და დეტალიზაციას წარმოადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობათა საფუძვლები და საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი, რომელიც სამოქმედოდ შემოღებულია 1983 წლის 1 სექტემბრიდან.

საბინაო კანონმდებლობის ამოცანებია საბინაო ურთიერთობათა მოწესრიგება კონსტიტუციით გათვალისწინებული მოქალაქეთა ბინის უფლების, საბინაო ფონდის სათანადო გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის მიზნით.

ამ საქმეში დიდი როლი აკისრიათ მართლმსაჯულების ორგანოებს, რომლებიც ახალი საბინაო კოდექსის გამოყენებაში წააწყდნენ ერთგვარ სიძნელეებს. ამის გამო საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ შეისწავლა საბინაო დავათა გადაწყვეტისას სასამართლო პრაქტიკა ახალი საბინაო კოდექსის გამოყენების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბინაო დავათა წარმოშობის მიზეზებსა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებებს.

აღსანიშნავია, რომ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები, უწყებები, რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები სათანადო მუშაობას ეწევიან როგორც საბინაო კანონმდებლობის ...

...

საბინაო კანონმდებლობას ყველა უნდა იცავდეს

...

თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებებით გამოასახლეს 14 მობინადრე, რომლებიც ჩაუწერლად ცხოვრობდნენ თვითნებურად აგებულ ბარაკებში უქსოვი ქსოვილების ფაბრიკის ტერიტორიაზე. მსგავსი შემთხვევები მრავალია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ამ მიმართულებით შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების, მათი ინსპექტორების, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების მუშაკთა საქმიანობის გაძლიერებას. მათი ვალია დროულად და მტკიცედ აღკვეთონ ყოველგვარი თვითნებური მშენებლობანი.

... დაიკავა სადავო ბინა (პირველად ამ ბინის თვითნებურად დაკავების შემდეგ პროკურორის სანქციით გამოასახლეს). აღმასკომის 1983 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით ეს ოთახი მიეცა მოქალაქე ზოტოვას ოჯახს, რომელიც სამი სულისაგან შედგება და სადავო ბინის მომიჯნავე ოთახში ცხოვრობს. ამ ფაქტის გამო აღმასკომის მიერ აღძრული სარჩელი დადუნაშვილის გამოსახლებაზე თითქმის ერთ წელიწადს გაჭიანურდა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისიების მუშაობა გარკვეულ გარდაქმნას მოითხოვს. ვფიქრობთ, საბინაო საკითხთა საზოგადოებრივ კომისიებს უნდა აეკრძალოთ ფართო...

... შემდგომი ამაღლება, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვა და საბინაო კანონმდებლობის განუხრელი გატარება თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი ვალია. იმისათვის, რომ სწორად, დროულად და ობიექტურად გადავწყვიტოთ საბინაო დავა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო მომავალშიც შეუნელებელ ყურადღებას მიაქცევს ამ სახალხო საქმეს, რათა მართლმსაჯულება კვლავ მტკიცედ იდგეს საბინაო კანონმდებლობის დაცვის სადარაჯოზე.

გ. დევდარიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

4 თებერვალი ■ საკდესი იუწყება

საერთაშორისო ვითარების გასაჯანსაღებლად

საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს მნიშვნელოვან და კონკრეტულ შედეგებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის მომავალ მოლაპარაკებაზე, რათა არ დაუშვას კოსმოსის მილიტარიზაცია, მთლიანად მოსპოს ბირთვული იარაღი. ამ აზრს ხაზს უსვამენ სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, რომლებიც კვლავ განმარტავენ კ. უ. ჩერნენკოს პასუხს ამერიკის სი-ენ-ენ ტელეკომპანიის კორესპონდენტის კითხვებზე. გამოხმაურებებში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული კონსტრუქციული პოზიცია შეესაბამება მილიონობით ადამიანის მისწრაფებებს, რომლებსაც არა მარტო შეგნებული აქვთ ჩვენი დროის დრამატიზმი, არამედ სულ უფრო მკაფიოდ ესმით, თუ სად გადის წყალგამყოფი მსოფლიო პოლიტიკის ორ ძირითად კურსს შორის — მოსკოვის მშვიდობის პოლიტიკასა და ვაშინგტონის ომის მომზადების გეზს შორის.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სერიოზული და მიზანდასახული მოლაპარაკება, ჟენევაში მიღწეული მორიგების ყველა ნაწილის პატიოსანი დაცვა განიარაღების მიზნების განხორციელების აუცილებელი პირობაა, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ **ნატარაჯან კრიშნანმა** (ინდოეთი). იმით რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება შედეგიანი იყოს, დაინტერესებულია მთელი კაცობრიობა. როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნა კ. უ. ჩერნენკომ, ამ მოლაპარაკებაზე უნდა გავითვალისწინოთ პლანეტის მომავლისათვის უაღრესად საშიშ შედეგებთან დაკავშირებული ის რეალური საფრთხე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს კოსმოსში გამალებული შეიარაღების გადატანას. კოსმოსის მილიტარიზაციის დაუშვებლობა, ბირთვული არსენალების გაყინვა, ბირთვული იარა-...

... მკაფიოდ არის ფიქსირებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ დოკუმენტში.

გაზეთი **„ლოს-ანჟელეს ტაიმსი“** წერს: საბჭოთა ხელმძღვანელმა მკაცრად გააკრიტიკა რეიგანის ადმინისტრაციის მიერ წამოყენებული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ კონცეფცია, რომელიც მიზნად ისახავს სამხედრო უპირატესობის მიღწევას, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი შეტევითი, აგრესიული ხასიათი-...

... რისო შეთანხმებას“. მეორე ფრანგული გაზეთი „ლუმანიტე“ ყურადღებას მიაპყრობს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალი მოლაპარაკების პერსპექტივათა იმ შეფასების რეალურ ხასიათს, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელმა ჩამოაყალიბა. კ. უ. ჩერნენკო ალიარებს დიდი სირთულეების არსებობას ჟენევაში მორიგების მიღწევის გზაზე და ამავე დროს მიაჩნია, რომ მათი დაძლევა შეიძლება. ...

... რეებისა და მეგობრების უშიშროება. საქმე ის არის, რომ კოსმოსის მილიტარიზაცია გააბათილებდა ბირთვული იარაღის შეზღუდვისა და შემცირების პროცესს, იქნება ყველა მიმართულებით უკონტროლო გამალებული შეიარაღების კატალიზატორი.

საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჟენევაში იმოქმედოს ისეთნაირად, რომ მიაღწიოს მნიშვნელოვან და კონკრეტულ შედეგებს, წერს ...

...

ყირიმის კონფერენციის 40 წლისთავისათვის

დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი

...

ლონდონი. მოკავშირე არმიების მეომრებმა, პლანეტის ხალხებმა შთაგონებითა და მშვიდობიანი მომავლის იმედით აღიქვეს 40 წლის წინათ იალტის შეთანხმება, უთხრა საკდესის კორესპონდენტს დიდი ბრიტანეთის თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანმა უ. ალექსანდერმა.

როცა მაღალ შეფასებას ვაძლევდით საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გმირულ როლს საერთო მტრის განადგურების საქმეში, ვიმედოვნებდით, რომ იგი აღარასოდეს შეუქმნიდა საფრთხეს კონტინენტსა და ჩვენს პლანეტას. მაგრამ, დასავლეთის მმართველი წრეები, რომლებმაც უარი თქვეს თანამშრომლობის განვითარების კურსზე და დაივიწყეს იალტის ხელშეკრულება, ამჟამად ფაქტობრივად ხელს უწყობენ გერმანიის მილიტარიზმისა და ნაციზმის აღორძინებას, სულ უფრო აქტიურად აქცევენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ გამიზნულ მძლავრ სამხედრო მექანიზმად. მსგავსი პოლიტიკა, ხაზგასმით აღნიშნა უ. ალექსანდერმა, მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის სამართლიან რისხვას იწვევს.

... პოლიტიკური წრეები, რომლებიც აყალბებენ და თავს ესხმიან ყირიმის კონფერენციის შედეგებს, სინამდვილეში ილაშქრებენ საფრანგეთის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენი ხალხი დაინტერესებულია შეინარჩუნოს და განავითაროს ყველაფერი, რასაც ევროპისათვის მოაქვს მშვიდობა, უშიშროება, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, საბჭოთა ხალხთან კეთილი, მეგობრული ურთიერთობით, ხაზგასმით აღნიშნა რ. მარკიემ.

ბონი. ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებანი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპის მტკიცე მშვიდობას, დღესაც აქტუალურია, განაცხადა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში გერმანელთა კომპარტიის გამგეობის პრეზიდიუმის წევრმა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა მ. ბუშმანმა.

მეორე მსოფლიო ომის შედეგების შეფასებისას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დისკუსიის დროს შეიმჩნევა ორი პრინციპულად განსხვავებული ტენდენცია. ქვეყნის დემოკრატიული ძალები ემზადებიან ღირსეულად აღნიშნონ მისი დამთავრებისა და ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების 40 წლისთავი, მათ იალტის შეხვედრა დიდმნიშვნელოვან ნიშანსვეტად ...

... ფერენციაზე დაისახა ომისშემდგომი ევროპის სამართლიანი საზღვრები, პოტსდამში ისინი დააკონკრეტეს, ხოლო ჰელსინკის საერთო-ევროპულ თათბირზე საბოლოოდ განამტკიცეს.

მაგრამ დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის ფართო წრეებში მტკიცდება სწრაფვა ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ აღარასოდეს აღარ დაიწყოს ომი გერმანიის მიწა-წყლიდან.

... შირს აიძულებენ, იგი ყოველ ღონეს იხმარს, როგორც ეს არაერთგზის ყოფილა წარსულში, რათა დაიცვას თავისი უშიშროება, აგრეთვე თავისი მოკავში-...

... ბულობის შენელების გზაზე და მის ამ მშვიდობისმოყვარულ პოზიციას აქტიურად უჭერს მხარს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა.

მოკლედ

უკანასკნელ საათს

● **აკრა.** განის დედაქალაქში გაიმართა აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციის განთავისუფლების კომიტეტის 48-ე სესია, რომლის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს დამოუკიდებელი აფრიკის გადაწყვეტილებას იბრძოლონ კონტინენტის სამხრეთში რასიზმისა და კოლონიალიზმის უკანასკნელი კერების ლიკვიდაციისათვის. მათ მკაცრად გააკრიტიკეს რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან რეიგანის ადმინისტრაციის „კონსტრუქციული თანამშრომლობის“ პოლიტიკა, პრეტორიისა და მისი დასავლეთელი მფარველების ცდები ჩაფუშონ ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 435 რეზოლუციის შესაბამისად.

● **ნიუ-იორკი.** ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება ერთი მუჭა მძლავრი ტრესტების ხელში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაციის პროცესი. ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესმა საგამომცემლო კონცერნმა „განეტ კომპანიამ“ იყიდა ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი გაზეთი „დე-მოინ რეჯისტერი“, რომელიც აიოვას შტატში გამოდის 1849 წლიდან. ამასთანავე საგამომცემლო კონცერნმა ხელში ჩაიგდო გაზეთი „ჯექსონ სანი“, რომელიც გამოდის ტენესის შტატში, და აიოვის შტატის ორი ყოველკვირეული.

ვიეტნამი

გმობენ პროვოკაციებს

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

ჰანოი. აქ გამოსულმა ვიეტნამის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბოლო ხანს, ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე შეიარაღებული პროვოკაციების ესკალაციასთან ერთად, ჩინეთში მიმართავენ მუქარას ვიეტნამის წინააღმდეგ. მაგალითად, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა პეკინში პრეს-ბრიფინგზე განაცხადა, რომ ჯარები ჩინეთის საზღვარზე „საბრძოლოდ არიან მზად“. განსაკუთრებით სერიოზულია სინხუას სააგენტოს მიერ გავრცელებული ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება სინგაპურში იმის თაობაზე, ...

...

არაბ ქალთა დემონსტრაცია

...

კაპიტალის სამყაროში

ტოკიოს კონტრასტები

ფოტოფაქტი

როგორ წარმოუდგება ტოკიო გამოუცდელ ტურისტს, რომელიც იაპონიის დედაქალაქში არასოდეს ყოფილა? უპირველეს ყოვლისა სარეკლამო პროსპექტების პრიალა ფოტოსურათებით, რომლებზეც აღბეჭდილია საუცხოო მრავალსართულიანი შენობები, ელვარე რეკლამები. ფოტორეპორტიორთა ობიექტივები, რომლებიც გიგანტური ქალაქის ვიზუალურ მატიანეს ქმნიან, მეტწილად იღებენ მის უდიდეს მდიდრულ რაიონებს — გინძას, აკასაკას, სინძიუკას, სადაც თავმოყრილია ბანკები, მსხვილი კონცერნების შტაბ-ბინები. საარაკოდ ძვირი რესტორნები, უნივერმაღები და სასტუმროები, სამორინოები და სხვა გასართობი დაწესებულებანი. მაგრამ ეს მხოლოდ ფასადი, ...

... ქალაქია.

სურათებზე: რეკლამებში ჩაფლული გინძა; ტოკიოს ჯურღმულები; უსახლკარო და უმუშევარი ტოკიოელი.

საკდესის ფოტო.

დელეგაცია გაემგზავრა

4 თებერვალს საფრანგეთის კომპარტიის მოწვევით საფრანგეთის კომპარტიის XXV ყრილობის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოსკოვიდან პარიზს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მ. ს. სოლომენცევის მეთაურობით.

დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სხვა პასუხისმგებელმა მუშაკებმა. (საკდესი).

13—14 აპრილი ხსოვნის დღეა

ვინ იცნობდა ივანე ტურაშვილს

უკვე რამდენიმე წელია დავდივარ ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ქელეზნიცეში, რომელიც პრაღიდან ასი კილომეტრით არის დაშორებული. ქელეზნიცესთან ახლოს არის რაიონული ცენტრი — ქალაქი იჩინო, აქ ომის წლებში გერმანელ ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკი ყოფილა მოწყობილი, სადაც ათასობით ტყვე საბჭოთა მეომარი იტანჯებოდა. ომის დამთავრების შემდეგ ჩეხებს ძმათა სასაფლაო მოუწყვიათ და დაღუპული საბჭოთა მეომრების პატივსაცემად ობელისკი აღუმართავთ. ობელისკზე რამდენიმე დაღუპულის გვარია ამოტვიფრული, მათ შორის არის ქართველი ივანე ტურაშვილი.

არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როდესაც დედასთან ერთად პირველად ვიყავი ამ სასაფლაოზე, რომელიც ტყეპარკის ძირში მდებარეობს. გარშემო ცოცხალი ღობე აქვს შემოვლებული. ობელისკზე ჩეხურ ენაზე ჩამოწერილია 13 საბჭოთა მეომრის გვარი და სახელი და მათ შორის ერთი ჩვენი თანამემამულისა. ქვემოთ კი მიწერილი აქვს: „საბჭოთა მეომრებს, ჩვენს განმათავისუფლებლებს, ნიშნად სამარადისო ხსოვნისა". ვიდექით ობელისკის წინ და ვათვალიერებდით ირგვლივ მიმოფანტულ საფლავებს...

...მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. 1983 წლის აპრილში მე ისევ ჩეხოსლოვაკიაში ვიყავი. საქართველოში ამ თვეში მიცვალებულთა ხსოვნის დღეს აღნიშნავდნენ. ჩემს ჩეხ მკურნალ ექთანს ვთხოვე, სასაფლაოზე წამყოლოდა. ალენომ ყვავილები თავის ეზოდან წამოიღო და მითხრა: როგორი გულთბილი ხალხი ხართ ქართველები. ეს რა კარგი წესი დაგიმკვიდრებიათო.

შარშან კი ხსოვნის დღეს მე და დედა ვეწვიეთ იჩინოს ძმათა სასაფლაოს. ამ დღეს უცხოეთში დასაფლავებული ქართველი ივანე ტურაშვილი არ დარჩენილა უპატრონოდ, ოღონდ ძალიან ვწუხვარ, რომ მას აქამდე ახლობლები არ გამოუჩნდა, თუმცა მის შესახებ დაიწერა გაზეთ „ნორჩ ლენინელში" და გადაიცა რადიოთი.

პატივცემულო რედაქციავ! იქნებ თქვენი გაზეთის საშუალებით მიაკვლიოთ ივანე ტურაშვილის ახლობლებს. ვინ იცის, იქნებ დღესაც როგორ ელიან ისინი ცნობას მის შესახებ.

ეკა ელიაშვილი,
თბილისის მეორე ექსპერიმენტული სკოლის მერვეკლასელი.

ინტერვიუ 128 წლის მოხუცთან

ჩემი ხნისა მოიყარეთ, შვილებო!

ზამთარს უხვად უბოძებია თოვლი მთიანი აჭარისათვის. ახლა აქაურ სოფლელ კაცს ხშირად ნახავთ ბუხართან ჩამომჯდარს, ტკბილად მოსაუბრეს.

სოფელ ხევში ბაბუა მევლუდს რომ ვეწვიეთ, გარშემო თანასოფლელები ჰყავდა შემოხვეული და მათთან მასლაათობდა. სახეზე თოვლივით თეთრი წვერი დაჰფენია, მისი თვალებიდან სითბო და ღიმილი გამოკრთის. ბაბუა მევლუდი მართლაც რომ ბევრის მომსწრე და მხილველია. მას ხომ უკვე 128 წელი შეუსრულდა! დიახ, 128 წელი — ჯაფაში, შვილებთან, შვილიშვილებთან და ბადიშიშვილებთან მზრუნველობაში გატარებული საუკუნე და კიდევ ერთ მეოთხედზე მეტი.

— როგორ ბრძანდებით, ბაბუა მევლუდ, — ვკითხეთ მოხუცს.

— რა ვქნა... ცუდად არა ვარ. ოღონდ ეგ არის მუხლი და მკლავი ძველებურად აღარ მომდევს. ჰაი, რომ ძნელი ყოფილა სიბერე. ახლა ზამთარია, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებთან, მეზობლებთან საუბრით ვერთობი...

სოფელში მითხრეს, რომ ცოტ-ცოტა საქმის კეთება კვლავ შეუძლია. ხან გოდორსა და კალათას დაწნავს, ხან კიდევ ეზო-მიდამოს მიხედავს, ღობეს შეაკეთებს, ძველ და ნარგავებს მიხედავს.

— ჯეელი ყმაწვილი ვიყავი, — იგონებს ღიმილით, — ორი დღე დაგვჭირდა, რომ ქალაქ ბათუმში ჩაგვეღწია, ილია ჭავჭავაძე სტუმრობდა აჭარას. გაგვიხარდა, რომ ეს დიდი კაცი ჩვენი მხარის მომავლისათვის იბრძოდა.

საგულისხმოა, რომ იმათ შორის, ვინც გოდერძის უღელტეხილიდან ბათუმისაკენ მიმავალ სახელოვან მე-11 არმიას უმასპინძლა, ერთ-ერთი მევლუდ დავითაძეც იყო. სოფელში ერთ-ერთ პირველს შემოუტანია იაკობისეული „დედა ენა", აჭარლებს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ რომ უბოძა.

თავის მხრებზე გადაუტანია ყველა ის სიძნელე, რომელიც ახლის შენებას თან სდევდა. დიდი სამამულო ომის წლებში ბრიგადსაც ედგა სათავეში, თანასოფლელებთან ერთად აქტიურად ეხმარებოდა ფრონტს.

— ჩვენ ქვეყანაში, — ამბობს ბაბუა მევლუდი, — შრომა და სახელი დიდად უფასდება კაცს. კარგი ახალგაზრდობაც გვყავს. მინდა მათაც ჩვენ მოგვბაძონ, ჩვენი გზით იარონ, რათა კიდევ უფრო სახალისო ცხოვრება გვქონდეს, იმრავლოს ერმა. მიხარია, რომ ჩემი მოდგმა 70 წევრზე მეტს ითვლის.

ბაბუა მევლუდი მუდამ იმის ცდაშია, სიკეთე თესოს, საბჭოური ცხოვრების სადიდებელი სიტყვა თქვას და ყველას სიკეთით ლოცავს — ჩემი ხნისა მოიყარეთო.

ო. ცინარიძე,
შუახევის რაიონული გაზეთის „დროშის" რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

ყმაწვილთა კეთილი მეგზურნი

ქართულ საბავშვო ჟურნალ „ნობათს" ასი წელი შეუსრულდა. იგი გაგრძელება გახლდათ ქართულ ენაზე გამომავალი პირველი საყმაწვილო ჟურნალებისა, როგორიც იყო „წყარო", რომელიც გამოდიოდა 1881 წელს, და „საყმაწვილო ბაღისა", რომელსაც გამოსცემდნენ 1883 წელს. ამ ჟურნალების რედაქტორებმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა ანთიმოზ ჯუღელმა და ზაქარია ჭიჭინაძემ ბავშვებს შესანიშნავი საჩუქარი მიართვეს, მაგრამ მათი გამოცემის პერიოდი ხანმოკლე გამოდგა: გამოვიდა „წყაროს" ოთხი ნომერი, ხოლო მეორე ჟურნალი მხოლოდ ერთხელ გამოიცა, მაგრამ მათ დასაბამი მისცეს ქართულ საბავშვო ჟურნალისტიკას.

„ნობათმა" შემოიკრიბა ქართული ლიტერატურის კლასიკოსები — აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე ყაზბეგი, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, რომლებიც სიამოვნებით უთმობდნენ მას ბავშვებისათვის გათვალისწინებულ თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებს. მაგალითად, „ნობათის" ფურცლებზე დაიბეჭდა ქართული საბავშვო ლიტერატურის შედევრები — ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი", რაფიელ ერისთავის „მიპატიჟება სასწავლებელში", სოფრომ მგალობლიშვილის „ყაყიტას ქურდები" და სხვები. ჟურნალს, რომლის რედაქტორიც იყო ანდრია გულაძე, ჰქონდა „პედაგოგიური დამატებაც", რომელიც არსებითად პირველი პედაგოგიური ჟურნალი იყო. იაკობ გოგებაშვილი მაღალ შეფასებას აძლევდა მის პუბლიკაციებს, ამასთან აღნიშნავდა, რომ ისინი ხელს უწყობენ მოწინავე პედაგოგიური აზრის განვითარებასო.

ბავშვებისათვის ნამდვილი დღესასწაული გახლდათ ჟურნალ „ჯეჯილის" გამოსვლა 1890 წელს (რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი). მას მოჰყვა ჟურნალი „ნაკადული", რომელიც ცნობილი საზოგადო მოღვაწის მარიამ დემურიას ინიციატივით დაარსდა. 1928 წელს მას „ოქტომბრელი" ეწოდა, ხოლო 1947 წლიდან, მაშინდელი რედაქტორის, თვალსაჩინო პოეტის რევაზ მარგიანის ინიციატივით, „დილა" დაერქვა. „დილის" მეთორმეტე, საიუბილეო ნომერი სწორედ წინამორბედებს — საბავშვო გამოცემებს ეძღვნება, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ბავშვთა აღზრდაში. საბავშვო ჟურნალების სახელოვან ისტორიას აცნობს მკითხველებს „დილის" მთავარი რედაქტორი, პოეტი ენვერ ნიჟარაძე.

საიუბილეო ნომერში დაბეჭდილია საუკეთესო მასალები „ნობათის", „წყაროს", „ჯეჯილის", „ნაკადულის" ფურცლებიდან.

ნომერი დაასურათა მხატვარმა გიორგი როინიშვილმა.

(საქინფორმი).

ჭიდაობა

შემობრუნება ყოვნდება

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თბილისის საერთაშორისო ტრადიციულ შეჯიბრებაში საქართველოს 20 ათლეტი მონაწილეობდა (3 — სსრ კავშირისა და 17 — ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შემადგენლობებში). ამ ოცეულიდან ყველაზე კარგად იასპარეზა 20 წლის სპორტსმენმა ლერი ხაბელოვმა (100 კგ-მდე წონითი კატეგორია). მან ყველა შეხვედრა მოიგო, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონ პ. ნანიევთან და პირველ ადგილს დაეუფლა. რაც შეეხება მამუკა ხურციძეს (90 კგ), მან მეორე ადგილი მოიპოვა. მძიმე წონის მოჭიდავე დავით გობეჯიშვილი კი მოასპარეზეთა შორის მეოთხე გახლდათ.

გავეცნოთ ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენ მოჭიდავეთა შედეგებსაც: **52 კგ-მდე წონითი კატეგორია** — ზ. ტატუაშვილი XII ადგილი (შარშანდელ ტურნირში გამარჯვებული?!), **57 კგ** — გ. ლომიძე — IX, **62 კგ** — ი. ბახტაძე — XVI; **68 კგ** — დ. გიგაური — VII, გ. კენკაძე — XII, გ. გაბოძე — XIV; **74 კგ** — მ. კლარჯეიშვილი — IX, დ. სირაძე — X, მ. სამადაშვილი — XIII; **82 კგ** — ა. გოგოლიშვილი — VII, ნ. როსტომაშვილი — X, ვ. დოლიძე — XV; **90 კგ** — მ. რაზმაძე — VII, გ. ოქროპირიძე — X, კ. ლომიძე — XVIII; **უმძიმესი წონა** — ზ. ვარდოშვილი — V, ჯ. ტარიელაძე — VI ადგილი.

თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს უმრავლეს ათლეტთა სუსტმა გამოსვლამ ერთხელ კიდევ ჩაგვაფიქრა იმ გარემოებაზე, რომ ამ სახეობაში საგრძნობი შემობრუნების გზის ძიება ძალიან დიდხანს გრძელდება. სპეციალისტთა აზრით, საჭიროა მოზარდთა შორის წვრთნის დონის ამაღლება, შეჯიბრებებში მონაწილეთა ასაკობრივი რეგლამენტის უცილობელი დაცვა, მწვრთნელთა ატესტაციის გამკაცრება, საწვრთნო ბაზების კეთილმოწყობა და მათი ქსელის გამრავლება, საერთოდ წვრთნის პროცესის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აყვანა.

ნიშანდობლივია, რომ ათივე წონით კატეგორიაში საბჭოთა სპორტსმენები დაეუფლნენ პირველ ადგილებს. აი ისინიც: ა. დორჟუ (ყიზილი), მ. დაიბოვი, რ. ყარაევი (ორივე — მახაჩყალა), ვ. ალექსეევი (კრასნოიარსკი), მ. ჰ. აბუშევი (მახაჩყალა), ტ. მაგომადოვი (მოსკოვი), ვ. მოდოსიანი (კრასნოიარსკი), მ. ხადარცევი (ტაშკენტი), ლ. ხაბელოვი (თბილისი), ვ. ზანგიევი (ორჯონიკიძე).

და ბოლოს: სპორტის სასახლეში საზეიმო გაცილება მოუწყვეს ჩრდილოეთ ოსეთისა და საქართველოს ფალავნებს, საკავშირო თუ უცხოეთის სარბიელებზე მრავალგზის გამარჯვებულებს სოსლან ანდიევსა და ნოდარ მოდებაძეს. ეს გაცილება თბილისის სპორტის სასახლეში შეკრებილმა ქომაგებმა მეზობელი ხალხების ძმობის გამოვლინებად აღიქვეს და მქუხარე ტაშით მიუგეს სიყვარული და პატივისცემა ამ სპორტსმენებს თავის დროზე ორთაბრძოლებში გამოვლენილი რაინდობისა და შეუპოვრობისათვის.

ჯ. ენუქიძე.

● ●

ლენინგრადში კი დამთავრდა ი. პოდდუბნის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. ათი წონითი კატეგორიიდან ცხრაში საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს პირველი ადგილები. აი ისინიც: რუსთაველი თ. ყაზარაშვილი (48 კგ-მდე წონა), ულიანოვსკელი მ. ტაზეტდინოვი (52 კგ), ტაშკენტელი კ. ფატტულინი (57 კგ), კიროველი ა. ლიტვინოვი (62 კგ), მინსკელი მ. პროკუდინი (68 კგ), მოსკოველი მ. მამიაშვილი (74 კგ), ტამბოველი ს. მინაევი (90 კგ), კიეველი ვ. კლიმენკო (100 კგ) და ივანოფრანკოვსკელი მ. ტკაჩუკი (უმძიმესი წონა). უცხოელთაგან პირველი ადგილი მოიპოვა პოლონელმა ბ. დარასმა (82 კგ).

სურათებზე: თბილისისა და ლენინგრადის საერთაშორისო ტურნირებზე გამარჯვებული ქართველი მოჭიდავენი. ზემოთ — ლ. ხაბელოვი, ქვემოთ — თ. ყაზარაშვილი.

ვ. ბენაშვილის ფოტო.

ვიაროთ საკუთარი გზით

თეატრალური ცხოვრება

ამ ბოლო დროს მომწიფდა იმის საჭიროება, რომ ვისაუბროთ ზოგიერთ ტენდენციაზე, რომლებიც ქართული თეატრის ცხოვრებაში წარმოიქმნა. ეს ტენდენციები მოწმობს, რომ ჩვენს „თეატრალურ საამქროში" ყველაფერი რიგზე როდია, რომ თეატრები და რეჟისორები ეგრეთ წოდებული „თეატრალურობის" ძიებაში ხშირად მიმართავენ საშუალებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება თეატრის ჭეშმარიტ, ოდინდელ ბუნებას. ამის პირველი სიმპტომები ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, რაიონული და საქალაქო სახელმწიფო თეატრების ფესტივალის დროს გამოვლინდა და „ერთად თავმოყრილმა" წარმოდგენებმა ამ მხრივაც მიიქციეს სპეციალისტთა ყურადღება. დადგმის კულტურის დონის ამაღლების მიუხედავად, ბევრ (მცირეოდენი გამოკლებით) სპექტაკლში აშკარად იგრძნობოდა ტენდენცია, რადაც უნდა დასჯდომოდათ, „არ ჩამორჩენოდნენ" თანამედროვე თეატრის ახალ (უახლეს!) თეატრალურ ლექსიკას, რადაც უნდა დასჯდომოდათ, ზიარებოდნენ ეგრეთ წოდებულ რეჟისორის თეატრს, არა მარტო დაენახვებინათ ის, რომ ესმით მისი სპეციფიკა, არამედ მის კალაპოტშიც მოქცეულიყვნენ. მაშინ ვიფიქრეთ, რომ თეატრალური ხელოვნების „გათანამედროვეობის" რთულ პროცესებში ამგვარი ჩართვის გზა არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება, რადგან დაფუძნებულია იმის ზერელე აღქმაზე, რაც ზედაპირზე მოჩანს. ეს გზა არ გამოირჩევა თვით პრობლემის არსის ღრმა გააზრებით, ორგანულად ვერ შედის მის სფეროში.

ესეც კია, მაშინ, ორი წლის წინათ, ამაზე მხოლოდ კულუარებში თუ ლაპარაკობდნენ...

მაგრამ მიზიდულობის ძალა მძაფრი აღმოჩნდა, დღეს რეჟისურაში (სხვათა შორის, ახლა უკვე არა მარტო რაიონულ, არამედ დედაქალაქის თეატრებშიც!) იმძლავრა იმ სურვილმა, რომ საკუთარი შესაძლებლობანი გამოსცადონ უვალ გზებზე და დაამკვიდრონ საკუთარი თავი, როგორც თეატრალური წარმოდგენის მთავარი და პირველი სიდიდე, როგორც დადგმის ერთპიროვნული ბატონ-პატრონი. ცდილობს რა დაიმკვიდროს სპექტაკლში წამყვანი როლი, რეჟისურა ხშირად ივიწყებს სპექტაკლის დამდგმელის სხვა, ნამდვილ, მთავარ და უპირველეს საზრუნავს — პირველ პლანზე შემოქმედი მსახიობის, სასცენო სიმართლისა და სასცენო შთაგონების მატარებლის, აქტიორის შინაგანი ბუნების გამოვლენის, როგორც კ. სტანისლავსკი ამბობდა, ორგანული „ადამიანის სულიერი ცხოვრების" წამოწევას.

ცხადია, ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ რეჟისორის თეატრს. იგი ობიექტურად არსებობს. უფრო მეტიც, არსებობის უფლება აქვს. მაგრამ ეს გზა, მთელი თავისი „მომხიბლაობის" მიუხედავად, იოლი არ არის. იგი ტანჯვა-წვალებით უნდა გაიარო. მისი ზერელე აღქმა კარგს არაფერს გვიქადის. რაკი ამ გზით გადაწყვიტე სიარული, მას ორგანულად უნდა შეერწყა. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, განა ეს გზა სავალდებულოა ყველასათვის? როცა კაცი პროფესიად ექიმობას აირჩევს, სრულიად არ არის ვალდებული ერთდროულად ქირურგიც იყოს, თერაპევტიც და ლარინგოლოგიც. როგორც იტყვიან, კეისარს — კეისრისაო. ასეა რეჟისურაშიც. ზოგისთვის „აგრესიული" რეჟისურა ორგანულად ახლობელია და „გათავისებული", რადგან მათ თვით იდეა საკუთარი მსოფლმხედველობის პრიზმაში გაატარეს, „შეურწყეს" იგი თავიანთ ემოციებს, ფსიქიკასა და სულს. სხვებისთვის იგი მარტოოდენ „კარგი ტონისთვის" გაღებული ზედაპირული ხარკია და ამიტომ ზერელედ და მსუბუქად არის აღქმული, ასე უფრო იოლია ცხოვრება და გამკითხველიც არავინ ჩანს...

მაგრამ არიან მესამენიც: რეჟისორის თეატრის „დაფნის გვირგვინი" მოსვენებას არ აძლევს იმათ, ვინც უკვე დიდი ხანია და საბოლოოდ დაადგა სულ სხვა თეატრის — მსახიობის თეატრის, ფსიქოლოგიური, ღრმად ემოციური, ცხოვრებისეული და ამიტომ საზეიმო, ამაღლებული თეატრის გზას. ცდილობენ რა „გააფართოონ" თავიანთი არსებობის ფარგლები, ეს რეჟისორებიც ესწრაფვიან დაამტკიცონ თავიანთ შესაძლებლობათა უსაზღვროება. ამასთან ავიწყდებათ, რომ ყოველივე „არა შენი" ნახმარ კაბად გამოიყურება.

და აი კონკრეტული მაგალითიც: კარლო გოცის „ლურჯი ურჩხული" მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე.

სანამ სპექტაკლის გარჩევას შევუდგებოდი, ჩემთვის გავიფიქრე, ღირს კი მკითხველის ყურადღების გამახვილება მაინცდამაინც ამ სპექტაკლზე? ბოლოს და ბოლოს იგი გამონაკლისი არ არის, თეატრალურ ჰორიზონტზე ამინდს ვერ შექმნის და პრინციპულად ახალს არაფერს ამკვიდრებს და თითქოს თეატრის ცხოვრებასაც არ აბრკოლებს — მაყურებელი ესწრება!

და მაინც, ალბათ, ღირს. ორი მიზეზისა გამო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს სპექტაკლი, განსაკუთრებულობაზე პრეტენზიების გარეშე, გამოხატავს ზოგად ტენდენციებს, რომლებსაც გულგრილად ვეღარ ავუვლით გვერდს. და მეორეც, იმიტომ, რომ ამ სპექტაკლის რეჟისორია არა ვიღაცა, არამედ მედეა კუჭუხიძე, ქართული თეატრისთვის საჭირო ადამიანი, ნიჭიერი, საინტერესო და მოაზროვნე, დიდად განათლებული და ღრმად ინტელიგენტი, სცენის კანონების მცოდნე რეჟისორი, რომელმაც რეჟისურის ჩინებული სკოლა გამოიარა თავის პედაგოგთან მიხეილ თუმანიშვილთან და უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბდა სოლიდურ და გამოცდილ ოსტატად და, რაც მთავარია, ჩასწვდა მსახიობთან მუშაობის რთულ თეატრალურ საიდუმლოებას. მ. კუჭუხიძეს ხელეწიფება ის, რაც მისი თაობის ბევრი რეჟისორისათვის მიუწვდომელი ზღვარია. მას არაერთხელ დაუმტკიცებია ეს თავისი სასცენო ნამუშევრებით თეატრალური ინსტიტუტის კედლებშიც („ჭრიჭინობელა ღუმელზე") და ქართული თეატრების სცენაზეც. საკმარისია დავასახელოთ მისი „ანა ფრანკის დღიური" გრიბოედოვის სახელობის თეატრში, „მე შენი მჯერა", „ჟამთა სიავე", „პროვინციული ამბავი", „შეყვარებულთა თვითმკვლელობა" მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე და ბევრი სხვა. ამ სპექტაკლებში მოგვხიბლა რეჟისორული ჩანაფიქრის სიღრმემ და სინატიფემ, ფილიგრანულმა მუშაობამ სცენურ სახეებზე, აქტიორის შინაგანი ბუნების გამოვლენის უნარმა, განვითარების, მოძრაობის, მოქმედების პროცესში სახის ფსიქოლოგიური სირთულის წარმოჩენის ოსტატობამ. და ბოლოს, ამ სპექტაკლებში იყო ის, ურომლისოდაც ქვეყნად ვერც ერთი თეატრი ვერ იარსებებს, — რეჟისორის მსოფლშეგრძნება, მისი პოზიცია.

სპექტაკლში, რომელზეც ამჟამად ვლაპარაკობთ, მსგავსს ვერაფერს ნახავთ. აქ მძლავრობს სულ სხვა რეჟისორი, რომელიც თითქოს ლოგიკის საწინააღმდეგოდ „ამსხვრევს" თავის საკუთარ ბუნებას, თავის თავს უპირისპირდება, თითქოს საკუთარი „მეს" წინააღმდეგ ამბოხებულაო.

უწინარეს ყოვლისა, ეს იმით გამოვლინდა, რომ სპექტაკლს მკაფიო კონცეფცია არა აქვს. ვერ გაიგებთ, რის თქმა სურდა რეჟისორს, რატომ გახდა საჭირო ეს სპექტაკლი დღეს, რის გულისთვის დაიდგა? ოციანი წლების ძველი თეატრალური ოპუსებიდან ნასესხები გაცვეთილი კალამბურების, ირონიის გულისთვის ხომ არა, რომლებმაც ასე ბრწყინვალედ შეისხეს ხორცი ვახტანგოველთა „პრინცესა ტურანდოტში"? მაგრამ, როგორც თავის დროზე წერდა ცნობილი საბჭოთა თეატრმცოდნე პ. ა. მარკოვი, „ტურანდოტის" ძირითად შინაარსს შეადგენდა არა ირონია, არა დამცინავი დამოკიდებულება, არამედ ოპტიმიზმი და რწმენა ცხოვრების ძალისა და ენერგიისადმი". და შემდეგ მოდიოდა სრულიად მოულოდნელი, მაგრამ საკითხის არსის გამომხატველი დასკვნა: „ტურანდოტი", რაგინდ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ ეს, გამარჯვებული რევოლუციის ჰიმნად ჟღერდა".

აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე! ცხოვრების ჰიმნი, რევოლუციის ჰიმნი! ირონია კი „მეორადი" იყო რეჟისორის ღრმა მსოფლშეგრძნების მიმართ. და ყველაზე საინტერესო კი ის გახლდათ, რომ უკვე მაშინ, როცა სპექტაკლი იდგმებოდა (1922 წ.), რეჟისორი კი არ ამკვიდრებდა ამ ფორმას, როგორც კანონიკურს, არამედ მისი მუდმივი სახეცვლილების მომხრე იყო.

„ირონიის უფლება უნდა გქონდეს, — წერდა პ. მარკოვი. — იყო ირონიული მაშინ, როცა ღრმა მსოფლშეგრძნება არა გაქვს, — ზერელობაა".

აქედან გამომდინარეობს სპექტაკლის მეორე ნაკლი. რეჟისორი, რომელიც თავისთვის უცხო და „სხვა" თეატრის ხერხებით შეიარაღდა, მსახიობს უქვემდებარებს არა მოვლენათა ლოგიკას, არა საკუთარი „მეს" თანამიმდევრულ გახსნას მოცემულ სასცენო ვითარებაში, არამედ გარეგნულ, ხშირად თვითნებურად აგებულ „კარკასს". „კარკასს" საფუძვლად უდევს არა გმირების ქცევის ქმედითი ხაზი, არამედ რეზულტატისა და წმინდა გარეგნული ფიზიკური მოქმედების, წინასწარგანზრახული, ზოგჯერ გაუმართლებელი სცენური გაზვიადების შიშველი დემონსტრაცია. სპექტაკლი აღსავსეა აქტიორულ დამოკიდებულებათა „შემთხვევითობით", რომელთა მიზანია თვალის მოჭრა, ეფექტის მოხდენა, ასეთივე მიზანსცენებით და ეპიზოდებით. თითქოს რეჟისორს გადაუწყვეტია დაგვიმტკიცოს, როგორ ახერხებს, რომ არ იზრუნოს მსახიობთან ღრმად საზრიანი, რთული მუშაობისათვის. მსახიობები თავის ნებაზე არიან მიშვებული. მათთვის სრული თავისუფლება მიუნიჭებიათ.

მაგრამ სრული და ჭეშმარიტი სცენური, აქტიორული თავისუფლება თეატრალურ ხელოვნებაში ქმედითი ანალიზის ღრმა საფუძველზე იბადება. მ. კუჭუხიძემ ეს ჩინებულად იცის! იცის, რომ მხოლოდ ასე შეიძლება იშვას ბრწყინვალე აქტიორული იმპროვიზაცია.

ამავე დროს მედეა კუჭუხიძემ ისიც იცის, რომ რეჟისორის თეატრი, რომლის კალაპოტითაც წარმართავს იგი თავის სპექტაკლს, არ გულისხმობს მსახიობის სრულ თავისუფლებას, უფლებას არ აძლევს მსახიობს ფანტოს თავისი ემოციები, არამედ „აოკებს" მას. აქ კი ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით მსახიობზე — შეძლებს თუ არა შეურწყას თავისი შთაგონება მკაფიოდ შემოფარგლულ სასცენო ფორმას, იმას, რასაც სახისადმი დამოკიდებულების თამაშს უწოდებენ. შეძლებს თუ არა, არა მარტო ჭვრეტდეს სახეს „გარედან", არამედ შეერწყას კიდეც მას გარკვეულ მომენტებში (ამ ჯადოსნურ-მშვენიერი სინთეზის უმაღლესი მიღწევაა — რამაზ ჩხიკვაძისა და იზა გიგოშვილის თამაში „კავკასიურ ცარცის წრეში").

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლში მსახიობები ამას ვერ ახერხებენ. აქ ვერ ნახავთ ამ სინთეზს, რეჟისორი კი არც კი ცდილობს შეუთავსებლის შეთავსებას, ამიტომაც ჩიხში ემწყვდევა. და მაშინ მსახიობთა სცენური ქცევის თავისუფლება წარმოგვიდგება დრამატულ თეატრში მიუღებელი სახით — „საკონცერტო ნომრებით".

ყოველივე ამას კი ის მოსდევს, რომ მსახიობთა შემადგენლობა შედუღაბებული არ არის. ყოველი მათგანი პარტნიორისაგან „ცალკე" არსებობს, „თავისთავად" მოქმედებს. ამ ადვილად მისაწვდომმა ფორმამ, რომელიც წმინდა ზედაპირულად არის აღქმული, ძალზე დააშორა ერთმანეთს არა მარტო მსახიობები, არამედ აგრეთვე თითოეული მსახიობი და მის მიერ შექმნილი სახე. აქ არ შველის თვით ბრწყინვალე თარგმანი (ჯ. აჯიაშვილი) და გამომსახველობითი პლასტიკა (ი. ზარეცკი). ტექნიკური ხერხები სახეთა გახსნას კი არ ექვემდებარება, არამედ მარტოოდენ მსახიობთა ყოჩაღობის თუ უყოჩაღობის დემონსტრაციაა. და იქ, სადაც მსახიობები მარჯვედ მღერიან, მარჯვედ ცეკვავენ, მარჯვედ მიმოდიან, მოგეჩვენებათ, თითქოს როლი ნათამაშებია. მაგრამ თეატრში სიმარჯვის გარდა კიდევ სხვა რამ არის საჭირო...

სპექტაკლში თამაშობენ მშვენიერი მსახიობები — ლეო ანთაძე და თენგიზ მაისურაძე. ისინი, შეიძლება ითქვას, სხვებზე მეტად ცდილობენ შეინარჩუნონ ექსტრა-კომედიურ სიტუაციებში თავიანთი თეატრის ტრადიციები. მათ შესრულებაში იგრძნობა რბილი და ფაქიზი იუმორი, ნაკლებად შეინიშნება ზედმეტი ფუსფუსი, ნაძალადევობა, მაგრამ სპექტაკლში ისინი ამინდს ვერ ქმნიან და ვერაფერს ვერ ცვლიან მის თვითნებურ მდინარებაში.

თვალად საჩინოდ და მკაფიოდ შეასრულა როლი გურანდა გაბუნიამ. იგი კარგად მოძრაობს, პლასტიკური, თამამი და აქტიურია მოქმედებასა და ქცევაში. მაგრამ რეჟისურით მსახიობისათვის დაკისრებული ფუნქცია ზერელედ არის მოხაზული, აშკარად გარეგნულია, შესრულების შედეგიანობაზეა დამყარებული და ტიპურ საკონცერტო ნომერს წარმოადგენს. ასეთივე კონცერტულობა და რეზულტატურობა იგრძნობა პანტალონეს სახეში ი. გოგიჩაიშვილის შესრულებით.

რეჟისორი გროტესკს ესწრაფვის, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს, რადგან მის გამოსახატავად მსახიობებისათვის შეთავაზებული ხერხები შეუწყნარებელია სწორედ ჭეშმარიტი სცენური გროტესკის ფარგლებში, რომლითაც, სხვათა შორის, ასე მდიდარია რეალისტური ქართული სამსახიობო თეატრი. ამ გზით მიდიოდნენ ჯერ კიდევ ჩვენ თვალწინ ე. გოძიაშვილი და გ. შავგულიძე, ს. თაყაიშვილი და ა. ვასაძე, ე. მანჯგალაძე, ნ. ჩხეიძე და მრავალი სხვანი. ცოცხლებმა უნდა განაგრძონ ეს სახელოვანი ტრადიციები.

მაგრამ რეჟისორი ჯიუტად ღვლარჭნის მსახიობის სცენურ არსებობას. ეს განსაკუთრებით წარმოჩნდა ჯ. მონიავას (ლურჯი ურჩხული), ვ. თანდილაშვილის (ბრიგელა), ა. მიქაძისა და შ. მშვენიერაძის (ტრუფალდინო), ქ. გეგეშიძის (სმერალდინა) თამაშში. სიყალბე, უგემოვნობა, ქაოსი ახასიათებს მათ თამაშს, რაც ეჩოთირება მაყურებლის თვალსა და ყურს.

მკრთალად გამოიყურება მარინე ჯანაშია. მსახიობი უმიზნოდ ფუსფუსებს და ჯეროვან შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. მაყურებელს კი სრულიადაც არ ედარდება არც გმირისა და არც მისი შეყვარებულის ბედი, რომლის გულისთვისაც იგი პიესაში გმირობას სჩადის. აქაც იჩინა თავი იმან, რომ სპექტაკლს კონცეფცია არა აქვს.

მაგრამ განსაკუთრებით დამაფიქრებელია რეზო ჩხიკვიშვილის ბედი ამ სპექტაკლში და საერთოდ. ეს უბრალოდ ნიჭიერი ახალგაზრდა კი არა, ძალზე ნიჭიერი და პერსპექტიული მსახიობია. მარჯანიშვილის თეატრის რეჟისურამ კი რატომღაც ჯეროვნად ვერ გამოავლინა მისი ჩინებული აქტიორული მონაცემები. მაგრამ სწორედ ისეთი რეჟისორები, როგორიც თემურ ჩხეიძე და მედეა კუჭუხიძეა, უნდა დაეხმარონ ჩამოყალიბებასა და თავის გამოჩენაში ისეთ მსახიობს, როგორიც რ. ჩხიკვიშვილია. ეს ხომ მათი — მსახიობის თეატრის, ფსიქოლოგიური თეატრის აქტიორია!..

ბევრი შეუსაბამობაა სპექტაკლის გამოსახვით საშუალებებშიც. საერთოდ, მხატვარ შ. გლურჯიძის ნამუშევარი ყურადღების ღირსია. კარგი გამოგონებაა თვლიანი შირმები — ისინი ხელს უწყობენ მოქმედების ადგილის სწრაფ შეცვლას, კარგად გამოყოფენ სხვადასხვა სათამაშო მოედანს. მაგრამ ასეთი, წმინდა თანამედროვე, პირობითი მიდგომა სცენური სივრცის გადაწყვეტისადმი სრულიად ვერ ეგუება სპექტაკლის ცალკეული „ხილული" დეტალების ფრიად პრიმიტიულ, „ტრადიციულ" გამომსახველ გადაწყვეტებს (ლურჯი ურჩხული და სხვა „ზღაპრული" არსებანი). ყოველივე ეს თითქოს დაუქირავებიათ „ძველი" და პრიმიტიული საბავშვო თეატრიდან, რომელიც ბავშვებსაც კი, განსაკუთრებით დღევანდელ ბავშვებს, ძნელად თუ აღელვებს. აქ ყოველივე ისეა, როგორც მსახიობთა თამაშში. — არც გაგეცინება, არც გაგიტაცებს, გაჭიანურებული, მოსაწყენი და გაუგებარია.

თეატრი ცოცხალი ორგანიზმია, და ვერავინ წაართმევს ამ უფლებას — იყოს ცოცხალი, ცხოვრებისეული, შინაარსიანი, ღრმა, ჭეშმარიტად დრამატული და ჭეშმარიტად კომედიური, ემოციური და ამაღლვებელი. ვერავინ წაართმევს მას უფლებას ესწრაფვოდეს დიდ განზოგადებას, დამოუკიდებლად ჟანრისა და თემატური მრავალფეროვნებისა, რომლებიც გარდაუვალად უნდა შვას ცხოვრებისეული ასპექტების მრავალფეროვნებამ და ფერადოვნებამ.

ყოველივე ეს დიდი ხნის ცნობილი ჭეშმარიტებანია, მაგრამ ჭეშმარიტებანი, რომლებსაც ზოგჯერ ივიწყებენ ისინი, ვინც მოწოდებულია ქმნიდეს თეატრის ხელოვნებას. კრიტიკა მათ ჯეროვან პატივს მიაგებს, მათს დამსახურებასაც აფასებს, მაგრამ უფლება აქვს მეგობრულად ურჩიოს: იარეთ საკუთარი გზით, ნუ დაკარგავთ თქვენს „მეს", ნუ უღალატებთ თქვენს ბუნებას, ნუ გამოიგონებთ ველოსიპედს, იგი უკვე გამოიგონეს სხვებმა; გაუფრთხილდით თეატრის — ჩვენი ეროვნული კულტურის ტაძრის ავტორიტეტს და პრესტიჟს, განაგრძეთ მისი რეალისტური ტრადიციები.

ეთერ გუგუშვილი.

ისტორიული ხიდი აღადგინეს

ტყიბული. (საკ. კორ.). მდინარე წყალწითელას მარჯვენა შენაკად ქორენაზე, გელათის არქიტექტურული მონასტრის მახლობლად, არის თაღოვანი ხიდი, რომელიც მეთორმეტე საუკუნეშია აგებული. დროთა განმავლობაში ეს ისტორიული ნაგებობა დაზიანდა და დანგრევის პირამდე მივიდა.

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის აღდგენა ითავა სპეციალურმა სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების დასავლეთ საქართველოს იმ უბნის კოლექტივმა, რომელსაც ძეგლთა ენთუზიასტი მ. აბულაძე უდგას სათავეში. აღდგენითი სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულებაში თავი გამოიჩინეს მშენებელმა ოსტატმა მ. კობეშავიძემ, ქვის მთლელმა ჟ. ლეთოდიანმა და დამხმარე მუშამ კ. ბუცხრიკიძემ. მშენებლობის პროცესში მათ სათანადო კონსულტაციას უწევდა ისტორიული ძეგლების მცოდნე გ. ასათიანი.

ხიდი ამჟამად აღდგენილი და დაცულია.

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვისა და გ. კასპაროვის მატჩის ოცდამერვე პარტია გადატანილია 6 თებერვლისათვის.

რიგაში გრძელდება ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა). მერვე ტურში ეინგორნმა დაამარცხა ბალაშოვი, ლპუტიანმა — სმაგინი, ხოლო გულკოსთან მეშვიდე ტურის გადადებულ პარტიაში ყაიმზე შეთანხმდა. დაზავდნენ გურევიჩ-გელერი, ტუკმაკოვ-რაზუვაევი და ფსახის-სვეშნიკოვი. მეცხრე ტურში ბალაშოვმა მოუგო ლპუტიანს. ყაიმით დასრულდა ლერნერ-სოკოლოვის, რაზუვაევ-ფსახისის, გურგენიძე-ტუკმაკოვისა და სმაგინ-გავრიკოვის პარტიები. მე-8 და მე-9 ტურის დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში დამთავრებულ ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 9 ქულით პირველობა მოიპოვა ამ ქვეყნის წარმომადგენელმა ი. ტიმანმა. მეორე-მესამე ადგილები 8-8 ქულით გაინაწილეს ლვოველმა ა. ბელიავსკიმ და ინგლისელმა ჯ. ნანმა.

ცურვა. პარიზის გარეუბან ბულონ-ბიანკურში დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველი ადგილები მოიპოვეს ლენინგრადელმა ე. დენდებეროვამ (200 მეტრზე კომპლექსურში—2.14.46), ბაქოელმა ტ. კურნიკოვამ (100 და 200 მეტრზე ბატერფლაით — 1.01,63 და 2.11,13), მოსკოველმა დ. ვოლკოვმა (100 და 200 მეტრზე ბრასით—1.02,06 და 2.15,10).

ფეხბურთი. ინდოეთის ქალაქ კოჩინში მიმდინარე ჯავაჰარლალ ნერუს ხსოვნისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო შეჯიბრების ნახევარფინალური მატჩი სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 1:0 (ბურთი გაიტანა ს. დმიტრიევმა) მოუგო მაროკოს გუნდს. გუშინ ფინალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ საბჭოთა და იუგოსლავი ფეხბურთელები.

თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებმა გამართეს ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრები. ლესელიძეში „დინამომ" დაამარცხა იუგოსლავიის „ოლიმპია" ანგარიშით 3:1, ხოლო „ტორპედომ" გაგრაში ფრედ დაამთავრა შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის „რუდა გვეზდასთან" — 1:1.

მოსკოვის კრემლის კომენდატურისაგან

პროფილაქტიკური სამუშაოების მოწყობასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი მოქალაქეებისათვის დახურული იქნება 1985 წლის 19 თებერვლიდან 15 აპრილამდე.

იღებენ ახალ ფილმს

თელავის რაიონის სოფელ თეთრწყლების სკოლის მოსწავლე მარეხ ლიქოკელი 12 წლისაა, მაგრამ სულაც არ ყოფილა შემთხვევითი, რომ, ნორჩი ასაკის მიუხედავად, მას სთხოვეს მონაწილეობა მიეღო მხატვრულ ფილმში „ციცინათელები", რომელსაც კინოსტუდია „ქართულ ფილმში" რეჟისორი დ. ჯანელიძე იღებს. მაყურებელს კარგად ახსოვს ნორჩი მსახიობი მისი პირველი ფილმის „გაზაფხული გადის" მთავარ როლში.

— სურათზე მუშაობა დასასრულს უახლოვდება, — თქვა დ. ჯანელიძემ, — ვფიქრობ, მთელი გადამღები კოლექტივის აზრს გამოვთქვამ, თუ გულითად მადლობას გადავუხდი მარეხს ფილმში მონაწილეობისათვის. მან მისთვის დამახასიათებელი უშუალობით შექმნა თავისი თანატოლის მართალი სახე, რომელიც მიყრუებულ სოფელში ცხოვრობს და ვაჟკაცურ, მტკიცე, კეთილ და ნამდვილ მეგობრობაზე ოცნებობს.

თვით დ. ჯანელიძემ სამი წლის წინ დაამთავრა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კინორეჟისურის ფაკულტეტი და გადაწყვიტა თავისი შემოქმედება მიეძღვნა საყმაწვილო და ახალგაზრდული კინემატოგრაფისათვის. გაერთიანება „დებიუტში" მან გადაიღო ფილმი „ვერსატრიელა". „ციცინათელები" მისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია.

ამ ფილმს რეჟისორი იღებს რ. ინანიშვილის სცენარის მიხედვით. ოპერატორია ლ. მაჩაიძე, მ. ლიქოკელის პარტნიორის როლს ასრულებს მისი თანატოლი, თელაველი მოსწავლე ბ. ოდიშვილი. ფილმში მონაწილეობენ მსახიობები ლ. ფილფანი, ზ. კოლელიშვილი, თ. სხირტლაძე და ი. გუდაძე.

გაზაფხულზე „ციცინათელები" ეკრანებზე გამოვა (საქინფორმი).

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

5 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — ნორჩთა შემოქმედება. 10.10 — ფილმ-სპექტაკლი „წითელი ფაშა". 12.40 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.35 — ი. ჰაიდნი — სიმფონია № 26 დო მინორი. 16.50 — რას და როგორ ასწავლიან პროფტექნიკურ სასწავლებლებში. 17.20 — ახალი ამბები. 17.25 — კონცერტი. 18.00 — დოკუმენტური ფილმი „მეგობრობით შობილი". 18.30 — ხელმარჯვენი. 19.00 — ჩვენი ბაღი. 19.30 — მხიარულ ტალღაზე. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მეცნიერება და ცხოვრება. 20.30 — ჰოკეი. მოსკოვის „დინამო" — ცსკა. 22.00 — „ვრემია". 22.50 — მუსიკა ყველასათვის. 23.55 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.15 — დოკუმენტური ფილმი „დილა მშვიდობისა, ადამიანებო!" 9.35 — ბუნებისმეტყველება. II კლასი. 9.55 და 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.05 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლისათვის. ესთეტიკური აღზრდა. 11.35 და 12.40 — მუსიკა. VII კლასი. 12.05 — საჭადრაკო სკოლა. 13.10 — საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები. 13.50 — საბჭოთა მონუმენტური და პორტრეტული ქანდაკება. 14.20 — ბერნარდ შოუ. მე-2 გადაცემა. 15.40 — ისტორია (უწიგნურობის ლიკვიდაციის შესახებ დეკრეტის 65 წლისთავი). 16.25 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — სამთო-სათხილამურო სპორტი. 19.45 — ჰოკეი. მოსკოვის „დინამო" — ცსკა. 20.20 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — საერთაშორისო პანორამა. 22.00 — „ვრემია". 22.50 — მხატვრული ტელეფილმი „პატარა ტრაგედიები". I სერია. 00.20 — ახალი ამბები.

თბილისი

5 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — ფილმ-სპექტაკლი „მტრედები". 12.25 — საბჭოური ცხოვრების წესი — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბიოგრაფია". 12.55 — ქართული ენის ტელეკურსი (სტუდიაშია ლ. კვაჭაძე). 13.25 — ახალი ამბები. 13.40 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (სტუდიაშია გ. ჭირაქაძე). 16.05 — ახალი ამბები. 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა (სტუდიაშია ბ. ბათიაშვილი). 16.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პიროვნება ბავშვობიდან იწყება". 17.15 — განცხადებები. 17.20 — დიდი გამარჯვების 40 წლისთავისათვის — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გამარჯვების გაელვება". 18.10 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. 18.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მე ვარ ლუბა ნიჟარაძე". 19.05 — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი" — ვალერია ბოიახჩიანი. 19.35 — კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო" №1. 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „არჩევნების შესახვედრად". 20.45 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „მაქბეთი". I სერია. 21.50 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი". 22.00 — „ვრემია". 22.50 — „გულშემატკივართა კლუბი" — შეხვედრა ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებთან. 23.20 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „შავი მაკლერი". 18.10 — მოსწავლეთათვის — გეოგრაფია.

თეატრი

5 თებერვალი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რომაული კომედია; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — [illegible]; თბილისის სახელმწიფო დრამატული — [illegible] (VII აბონ. II წარმ.); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — რძლები.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08456 [illegible] 14, [illegible] 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20